უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა[1]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

[1]**შენიშვნა:** დაწესებულება, რომელსაც სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე ავსებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმას.

თბილისი
2018

სარჩევი

ნაწილი I: შესავალი ... 3
1. დაწესებულების აღწერა ... 3
2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ ... 4
3. რაოდენობრივი მაჩვენებლები ... 5
3.1 პროგრამები ... 5
3.2 სტუდენტები ... 5
3.3 პერსონალი ... 5
3.4 სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები ... 6
4. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი ... 6
5. სამიზნე ნიშნულები ... 6
6. თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა ... 8
ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება ... 11
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება ... 12
1.1. უსდ-ის მისია ... 12
1.2. სტრატეგიული განვითარება ... 13
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ... 15
2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ... 16
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ... 23
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ... 28
3. საგანმანათლებლო პროგრამები ... 31
3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება ... 31
3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ... 35
3.3. სწავლის შედეგების შეფასება ... 37
4. უსდ- პერსონალი ... 39
4.1. პერსონალის მართვა ... 39
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ... 46
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები ... 47
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები ... 47
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები ... 50
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა ... 55
6.1. კვლევითი საქმიანობა ... 55
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ... 60
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება ... 65
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ... 67
7.1. მატერიალური რესურსი ... 67
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები ... 70
7.3. საინფორმაციო რესურსი ... 73
7.4. ფინანსური რესურსი ... 96
ნაწილი III: წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი ... 83
დანართი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით ... 87
დანართი 2. მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების და პროგრამების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით ... 103
დანართი 3. მონაცემები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით წარმოადგინეთ შემდეგი ცხრილის სახით: ... 112
დანართი 4. სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით ... 118
დანართი 5. დაწესებულების ფართი მისამართების მიხედვით ... 130

ნაწილი I: შესავალი

1. დაწესებულების აღწერა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – ავტონომიური, ფართოპროფილიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი, ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპებით. იგი ორიენტირებულია როგორც საქართველოს, ისე ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა-განვითარებაზე. სტუ-ში რეალიზებული მულტიდისციპლინური პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს **უსდ**-ს ბოლონიის პროცესში ინტეგრაციას ქვეყნის მოთხოვნების გათვალისწინებით და, შესაბამისად, საერთაშორისო დონის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა თავისი მოღვაწეობის თითქმის ასწლიან პერიოდში ღირსეულად დაიკავა წამყვანი პოზიცია არა მარტო საქართველოს უნივერსიტეტებს შორის, იგი, აგრეთვე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების ისტორიულ თარიღად 1922 წლის 16 იანვარი ითვლება, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ სამშენებლო, მექანიკური და სამთო განყოფილებები (არქიტექტურული, საგზაო, ჰიდროტექნიკური, ელექტრომექანიკური, ჰიდრო და თერმომექანიკური, სამთო-მეტალურ-გიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური სპეციალობებით). ფაკულტეტმა, არსებობის პირველი დღეები-დანვე, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა.

1928 წელს აღნიშნული ფაკულტეტი შეუერთდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტს (დაარსებულია 1917 წელს) და ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგში, 1936 წლიდან - როგორც საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, 1948 წლიდან - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1990 წლის 6 იანვრიდან - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ).

დღეისათვის, სტუ-ის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის უშუალოდ განმხორციელებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულები: 12 ფაკულტეტი, 15 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ცენტრალური და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები, კომპიუტე-რული და საგამოცდო ცენტრები, სასწავლო, სამეცნიერი-კვლევითი და საექსპერტო ლაბორატორიები და სხვ. სწავლება მიმდინარეობს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. დღეისათვის სტუ-ში ირიცხება 22516 აქტიური სტუდენტი და 4608 - დასაქმებული პერსონალი (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი).

სტუ უზრუნველყოფს აკადემიური უმაღლესი განათლების, ინოვაციური მეცნიერული კვლევების მაღალ ხარისხს ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო, სამართალის, აგრარული, ჰუმანიტარული, სოცი-ალური მეცნიერებების, ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნებისა და მიმართულებათაშორისი დარგებისა და სპეციალობების (განსაკუთრებული აქცენტით ევროპისმცოდ-ნეობის, არქეოლოგიის, არქიტექტურის, საჯარო მმართველობის, სამხედრო) მიმართულებით. სტუ-მ ბოლო 80 წლის განმავლობაში საქართველოს ინჟინერთა, ქიმიკოსთა და მეცნიერული ინდუსტრიის სპეციალისტთა 60 % გამოუშვა.

სტუ-ის საქმიანობა ეფუძნება ავტონომიურობის აკადემიური თავისუფლების, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭირვალობის პრინციპებს. უნივერსიტეტის ავტონომია

ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა ერთიანობას და მოიცავს როგორც გარეშე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლობას, ისე შიდა ავტონომიურობას.

სტუ თავისუფალია სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფებისა და ორგანიზაციების გავლენისაგან, მაგრამ ტოლერანტულად არის განწყობილი მათ მიმართ. ყოველი ამ ჯგუფის წარმომადგენელი თავისუფლად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ახორციელებს აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას მის წიაღში.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად და მაღალტექნოლოგიური დარგების დაჩქარებული განვითარების მიზნით სტუ-ის ყველა რესურსი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსავითარებლად, რაშიც სტუ-ს გააჩნია მნიშვნელოვანი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მიღწევები, განვითარებული ინფრასტრუქტურა და საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, კონკურენტუნარიანობის უპირატესობა.

2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე	Georgian Technical University
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
ძირითადი მისამართი(ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	მ. კოსტავას №77, ქ. თბილისი, 0175, საქართველო
ვებ-გვერდი	www.gtu.ge
ელ-ფოსტის მისამართი	info@gtu.ge
ტელეფონი	(+995 32) 2 36 51 53
ხელმძღვანელი	არჩილ ფრანგიშვილი
ხელმძღვანელის ელ. ფოსტის მისამართი	rectoroffice@gtu.ge
ხელმძღვანელის მობილური ტელეფონი	591 191 700
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ქეთევან ქოქრაშვილი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ელ.ფოსტის მისამართი	ketikokrashvili@yahoo.com
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მობ. ტელეფონი	591 191 719
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირი	ირმა ინაშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის ელ.ფოსტის მისამართი	quality@gtu.ge
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის მობილური ტელეფონი	593 362 926
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	04.09.2012 № 272
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	02.10.2018

3. რაოდენობრივი მაჩვენებლები

3.1 პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	170
ბაკალავრიატი	69
მაგისტრატურა	58
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	42
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1

აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	169
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	5
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	1
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

3.2 სტუდენტები[4]

სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა			26 516
სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			25 342 (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №32, 13.12.2016)
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	22516	5669	56%
ბაკალავრიატი	18964	4876	65%
მაგისტრატურა	2267	357	75%
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	1285	436	58%
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	181	-	65%
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	410	20	75%
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	4	-	-

3.3 პერსონალი[5]

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ (28.03.2018 მდგომარეობით)

[2]დეტალური ინფორმაცია პროგრამების შესახებ შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართი 1 -ში მოცემული ფორმით

[3]იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

[4]მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართ 2 -ში მოცემული ფორმით

[5]მონაცემები უსდ-ში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის (აფილირებული პერსონალის მითითებით) შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართ 3-ში მოცემული ფორმის მიხედვით

უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	4609
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**1165**
- პროფესორი	403
- ასოცირებული პროფესორი	497
- ასისტენტ პროფესორი	197
- ასისტენტი	68
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	**363**
- მეცნიერი	363
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**1156**
- აფილირებული პროფესორი	400
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	492
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	195
- აფილირებული ასისტენტი	68
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	9
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	1178
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	1189+1071=2260

3.4 სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები

ბოლო ავტორიზაციის პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე კვლევების რაოდენობა	2351
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა	15
უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტი (2018 წ)	69 467 144 ლარი
კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაზე გამოყოფილი ბიუჯეტი (2018 წ)	12 684 185 ლარი
ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი (2018 წ)	186 000 ლარი
საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი	272
სტუდენტთა რაოდენობა, რომელზეც გათვლილია სტუდენტური საცხოვრებელი	-

4. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი[6]

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	212 848.6
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	104 699.9
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	108 148.7

[6]დეტალური ინფორმაცია ცალკეულ მისამართებზე არსებული შენობა-ნაგებობების ფართების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ 5-ში მოცემული ფორმით

5. სამიზნე ნიშნულები[7]

	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულების მიღწევის სავარაუდო თარიღი[8]
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	0.67	0.73	2021 წ.
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	0.40	0.45	2021 წ.
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	1.55	1.60	2021 წ.
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	0.12	0.12	-
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	15.9	15.9	-
ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	0.0019	0.0019	-
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	0.49	0.49	-
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	0.05	0.05	-
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	0.59	0.59	-
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	100%	100%	-
მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	100%	100%	-
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	100%	100%	-
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)[9]	91%	96%	2021 წ.
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	40%	45%	2021 წ.
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	796	872	2021 წ.
ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან	30%	28%	2021 წ.
კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-მთლიანი ბიუჯეტთან	19%	25%	2021 წ.
(უსდ-ს მიერ დადგენილი სხვა სამიზნე ნიშნულები			

[7]ინფორმაცია სამიზნე ნიშნულების შესახებ ფაკულტეტების მიხედვით წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ 4-ში მოცემული ფორმის მიხედვით

[8]სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს

[9]კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი პროგრამების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილია დანართ 1-ში მოცემული ფორმის მიხედვით

(უსდ-სმიერდადგენილისხვასამიზნენიშნულები			
(უსდ-სმიერდადგენილისხვასამიზნენიშნულები			

6. თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესისათვის მზადებასა და საავტორიზაციო განაცხადის დადგენილ ვადებში შეტანის უზრუნ-ველყოფის მიზნით გამოიცა რექტორის ბრძანება (01.12.2017 N228) რომლის თანახმად, ავტორიზაციის პროცესში ჩართულ იქნა სტუ-ის ყველა რგოლი, ხოლო უმაღლესი დაწესებულების ავტორიზაციის თითოეული სტანდარტის შემადგენელი კომპონენტის შესრულებაზე განისაზღვრა შემდეგი პასუხის-მგებელი სტრუქტურული ერთეულები და შემსრულებლები:

1. **უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**

პასუხისმგებელი - პერსპექტიული განვითარების სამსახური;
შემსრულებლები - სტუ-ის ყველა სტრუქტურული ერთეული.

2. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
პასუხისმგებელი - სტუ-ის ადმინისტრაცია;
შემსრულებლები - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი; ადამიანური რესურსების მარ-თვის დეპარტამენტი; საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური; კანცელარია.
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
პასუხისმგებელი - სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
შემსრულებლები - სწავლების დეპარტამენტი; სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი; სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი; დეკანატები.
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
პასუხისმგებელი - სტუ-ის ადმინისტრაცია;
შემსრულებლები - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი; სწავლების დეპარტამენტი; მეცნიერების დეპარტამენტი; დეკანატები.

3. **საგანმანათლებლო პროგრამები**

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
პასუხისმგებელი - სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
შემსრულებლები - სწავლების დეპარტამენტი; დეკანატები.
3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პასუხისმგებელი - სწავლების დეპარტამენტი;
შემსრულებლები - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი.
3.3. სწავლის შედეგების შეფასება
პასუხისმგებელი - სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
შემსრულებლები - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემების კოორდინატორი.

4. **უსდ-ის პერსონალი**

4.1. პერსონალის მართვა
პასუხისმგებელი - სტუ-ის ადმინისტრაცია;
შემსრულებლები - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; სამართლებრივი უზრუნველ-ყოფის დეპარტამენტი.
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
პასუხისმგებელი - სწავლების დეპარტამენტი;
შემსრულებლები - მეცნიერების დეპარტამენტი; დეკანატები.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
პასუხისმგებელი - სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
შემსრულებლები - სწავლების დეპარტამენტი; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი; სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი.
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
პასუხისმგებელი - სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი;
შემსრულებლები - საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური; დეკანატები.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1. კვლევითი საქმიანობა
პასუხისმგებელი - მეცნიერების დეპარტამენტი;
შემსრულებლები - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; კომერციალიზაციის დეპარტამენტი; დეკანა-ტები; სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები.
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
პასუხისმგებელი - მეცნიერების დეპარტამენტი;
შემსრულებლები - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური; დეკანატები; სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები.
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
პასუხისმგებელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
შემსრულებლები - მეცნიერების დეპარტამენტი.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი
პასუხისმგებელი - სტუ-ის ადმინისტრაცია;
შემსრულებლები - პერსპექტიული განვითარების სამსახური; სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტა-მენტი; სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი; დეკანები; ფაკულტეტების მენეჯერების სამსახურები.
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
პასუხისმგებელი - ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
შემსრულებლები - საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი; კომპიუტერული ქსელების მართვის ცენტრი; ცენტრალური ბიბლიოთეკის საფაკულტეტო ფილიალები; დეკანატები.
7.3 საინფორმაციო რესურსი
პასუხისმგებელი - საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
შემსრულებლები - კომპიუტერული ქსელების მართვის ცენტრი; სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარ-ტამენტი; საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი; დეკანატები; სასწავლო პროცესის ელექ-ტრონული სისტემების კოორდინატორი.
7.4 ფინანსური რესურსი

პასუხისმგებელი - სტუ-ის ადმინისტრაცია;
შემსრულებლები - საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტი; აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტი; ფაკულტეტების მენეჯერების სამსახურები; შიდა აუდიტის სამსახური.

ზაემოაღნიშნულთან ერთად, რექტორის ბრძანების (25.12.2017 N249) საფუძველზე შეიქმნა სტუ-ის ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- არჩილ ფრანგიშვილი - რექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ლევან კლიმიაშვილი - ვიცე-რექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
- ზურაბ გასიტაშვილი - რექტორის მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
- ქეთევან ქოქრაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- გიორგი ძიძიგური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (14.02.2018-დან ირმა ინაშვილი);
- ჯემალ გახოკიძე - წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი;
- თამაზ ბაციკაძე - პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსი;
- ოთარ ზუმბურიძე -საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსი;
- ბექა მაისურაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- იური ლომიძე - სწავლების დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი აბრამიშვილი - სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
- დავით თავხელიძე - მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი;
- ხათუნა ჩხიკვიშვილი - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- გია არაბიძე - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი;
- ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსი.

თვითშეფასების ჯგუფის სხდომები ტარდებოდა რეგულარულად, სადაც ყველა სტურქტურული ერთეული წარმოადგენდა ანგარიშებს გაწეული სამუშაოს შესახებ. შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე ვლინდებოდა სუსტი და ძლიერი მხარეები ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში. იგეგმებოდა გამოსწორების გზები და პროცედურები, რის შედეგადაც გამოვლინდა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელებისა ან/და ახლის შექმნის აუცილებლობა. ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდა მათი მოდიფიცირება, რაშიც სტუ-ის პროფესორ მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

თვითშეფასების ჯგუფის 2018 წლის 2 აპრილის სხდომაზე მოსმენილ და განხილულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ი. ინაშვილის ინფორმაცია „უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის“ შევსებისა და თანდართული დოკუმენტების მზადყოფნის შესახებ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული ფორმა წარედგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

თვითშეფასების ფორმა უნდა ასახავდეს დაწესებულების საქმიანობის ანალიზსა და შედეგების შეფასებას, ასევე, საქმიანობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასება უნდა იყოს სტილისტურად გამართული, გასაგებად და ნათლად დაწერილი. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში გაკეთებული თითოეული განაცხადი უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს. სტატისტიკურ მონაცემთა და სხვა ფაქტობრივი ინფორმაციის მეტი სიცხადისთვის, დაწესებულებას შეუძლია ტექსტში ჩანართის სახით გამოიყენოს კონტექსტთან შესაბამისი, სათანადო გრაფიკული გამოსახულებები.

***დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლად ცნობისთვის, აუცილებელია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმა სრულყოფილად იქნას შევსებული.თვითშეფასების ფორმის არასრულყოფილად შევსება წარმოადგენს განაცხადისთვის ხარვეზის დადგენის საფუძველს. თვითშეფასების ფორმა სრულყოფილად შევსებულად ითვლება თუ:**

- თვითშეფასების ფორმით გათვალისწინებული თითოეული ველი შევსებულია (იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულებას, თვითშეფასების მომენტისთვის, კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, დაზუსტებული ინფორმაცია არ მოეპოვება ან მისათითებელი ინფორმაცია არარელევანტურია, შესაბამის ველში გაკეთებულია განმარტება);
- თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი ინფორმაცია პირდაპირ პასუხობს შესაბამისი სტანდარტის კომპონენტის აღწერითა და შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი ინფორმაციის დადასტურებისას, გათვალისწინებულია სტანდარტების დოკუმენტის მტკიცებულებების/ინდიკატორების გრაფაში მითითებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის ჩამონათვალი; ყველა დოკუმენტი, რომელზეც თვითშეფასების ტექსტში კეთდება მითითება უნდა დაინომროს თანმიმდევრულად და წარმოდგენილ იქნას დანართის სახით.;
- თითოეულ სტანდარტთან დაკავშირებით, თითოეული კომპონენტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1. უსდ-ის მისია

- უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

აღწერა და შეფასება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაში ნათლად არის განცხადებული სტუ-ის როლი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. იგი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში.

სტუ-ის მისია განსაზღვრავს უნივერსიტეტის მახასიათებლებს მისი სახისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების (პროფილი) შესაბამისად და ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს.

უნივერსიტეტი, მისიის შესაბამისად, მიზნად ისახავს უზრუნველყოს:

- აკადემიური უმაღლესი განათლების, ინოვაციური მეცნიერული კვლევების მაღალი ხარისხი ინჟინერიის, საბუნებისმეტყველო, სამართლის, აგრარული, ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებების, ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნებისა და მიმართულებათშორისი დარგებისა და სპეციალობების (განსაკუთრებული აქცენტით ევროპის-მცოდნეობის, არქეოლოგიის, არქიტექტურის, საჯარო მმართველობის, სამხედრო) მიმართულებით;

- პროფესიული განათლების მიმართულებით აღზარდოს მაღალკვალიფიციური საზოგადოების საჭიროებაზე ორიენტირებული კადრები;

- პროფესიული და აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და, იმავდროულად შეინარჩუნოს სამეცნიერო და აკადემიური ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება;

- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა და განვითარება;

- უნივერსიტეტის პერსონალის აკადემიური თავისუფლება (რაც მოიცავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტის სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას, მობილობის შეუზღუდავ შესაძლებლობებს);

- განათლებისა და მეცნიერების საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება, კვლევისა და სწავლების რეგიონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, კოლაბორაციის განვითარება უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

- უნივერსიტეტის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილების და კოლეგიური მართვის სისტემის ოპტიმიზაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის № 01-05-04/69

დადგენილებით დამტკიცებული მისია (ხედვა, ღირებულებები).
1.2. სტრატეგიული განვითარება
• უსდ-ის აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი) • უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას • უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე
აღწერა და შეფასება სტუ საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, დამოუკიდებლად განსაზღვრავს უნივერსიტეტის განვითარების პრიორიტეტებს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების, საზოგადოების, აკადემიური და სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით. უნივერისტეტის პრიორიტეტული მიმართულებების განსავითარებლად და დასახული მიზნების მისაღწევად, სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სტარტეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ პრინციპების დაცვით შემუშავებულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა“ 2018-2024 წლებისთვის, რომელიც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას (2018-2024 წწ) საფუძვლად უდევს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021წწ; საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითადი სარეკომენდაციო დოკუმენტები; უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მისაღები ხარისხის განათლების უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში (2016წ,); უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და მასში შემავალი ყველა სტრუქტურული ერთეულის მისია, ხედვა, ღირებულებები, მიზნები და ამოცანები; მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება. ვინაიდან, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია, მასში ჩართულნი არიან სტუ-ის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და სტუ-ის მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული მხარეები. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახულია სტუ-ის ყველა რგოლის მიზნები და ამოცანები. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრისა და ქვეყნის აკადემიურ-ინტელექტუალური განვითარების მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან; სწავლების ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; დასაქმებაზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების მომზადება; პროფესიული და უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სინთეზი; მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების (LLL) პრინციპის დაცვა; რეგიონალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; სტუ-ის საზოგადოებრივი, სოციალური და კულტურული როლის გაძლიერება და სახელმწიფოში უნივერსალური დემოკრატიულ-ლიბერალური ღირებულებებისა და სამართალცნობიერების განვითარება; ცოდნის საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს შემდეგ თავებს: 1. შესავალი 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები 3. სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები 4. სიტუაციური ანალიზი 5. SWOT ანალიზი 6. სტუ-ის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები 2018-2024 წწ 7. სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

8. სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი
9. განვითარების გეგმა 2018-2024 წწ
10. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020 წწ.

სტუ-ის მისიიდან გამომდინარე, სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, კერძოდ:

I პრიორიტეტული მიმართულება - ინსტიტუციური განვითარება;
ინსტიტუციური განვითარების მთავარი პრიორიტეტია ახალი აკადემიური სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული მმართველობის სისტემების ახალი მოდელების დაგეგმვა და განვითარება. აღნიშნული პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ევროპული სტანდარტების გათვალისწინება, ერთი მხრივ, საფუძველს უყრის უნივერსიტეტში სასწავლო-კვლევითი პროცესის წარმართვისა და ადმინისტრირების ახლებურ სტრუქტურებს და, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ამ სტრუქტურების ადაპტირებას სტუ-ში უკვე ტრადიციულად დამკვიდრებულ ინსტიტუციურ მოწყობასთან.

ინსტიტუციური განვითარების დასახული პრიორიტეტის შესაბამისად უნივერსიტეტი, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურა ქმნის საქმიანობის წარმართვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ რაციონალურ და შედეგიან მექანიზმებს, საგანმანათლებლო, სამეწარმეო, საფინანსო, ადამიანური რესურსების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების კუთხით.

II პრიორიტეტული მიმართულება - ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის პრინციპს. იმავდროულად, მნიშვნელოვანია საგნებზე ორიენტირებულის ნაცვლად თემებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება რეგიონულ და ინტერნაციონალურ დონეზე სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან საშუალო და გრძელვადიანი კვლევითი, მათ შორის კოლაბორაციული კვლევითი პროექტების საფუძველზე.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური წინსვლისათვის აუცილებელია კვლევების ინოვაციური არეალის გაფართოება, კვლევითი საქმიანობის ორიენტირება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, პრაქტიკული ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად.

III პრიორიტეტული მიმართულება - სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა;
სტუ-ის აკადემიურ საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება. სტუდენტური თვითმმართველობის დასავლური სტანდარტების მიხედვით რეფორმირება (მაგალითად, სტუდენტური პარლამენტის დაფუძნება და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტების ჩართულობის ხარისხის ამაღლება).

IV პრიორიტეტული მიმართულება - საგარეო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
სტუ-ის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა. სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარება, როგორც ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის საერთაშორისო ხილვადობის გაზრდა, გაძლიერება.

უნივერსიტეტი მიისწრაფვის მოიპოვოს ცნობადობა და დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, როგორც ხელმისაწვდომმა, ხარისხიანი განათლების უზრუნველმყოფმა უმაღლესმა

სასწავლებელმა. სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით, შედგენილია სტუ-ის სამოქმედო გეგმა (2018-2020 წწ) რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური). სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სტუ-ში რეგულარულად ხორციელდება ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ გაწეული სამუშაოების ანგარიშების მოსმენა. კერძოდ, ფაკულტეტების მიერ გაწეული სამუშაოების შუალედური და წლიური ანგარიშების განხილვა წარმოებს შესაბამისი ფაკულტეტების საბჭოებზე; კვლევით ინსტიტუტებში - შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტების საბჭოებზე და ა.შ. საბოლოოდ, ანგარიშის წარდგენა-განხილვა წარმოებს სტუ-ის აკადემიურ საბჭოზე. შესრულებული სამუშაოსა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ახალი მიზნების დაგეგმვა, რომელშიც, აგრეთვე, მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული პირი. აღნიშნული „დაგეგმვა-განხორციელება-მონიტორინგი-გაუმჯობესება“ სისტემა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას დათქმულ ვადებში, ახალი იდეების ჩამოყალიბებასა და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ცვალებად გარემოში. დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების მონიტორინგის მექანიზმები მოცემულია სტატეგიული განვითარების გეგმაში, ხოლო შედეგები - უნივერსიტეტის საქმიანობის წლიურ ანგარიშებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის № 01-05-04/69 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი); 2. „სტუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/12; 3. უსდ-ის საქმიანობის წლიური ანგარიშები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები ➢ სტუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; ➢ ნათლად ჩამოყალიბებული მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებთან; ➢ ევროპულ სტანდარტებზე ორიენტირებული სტუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024) და ლოგიკურად დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა (2018-2020); ➢ გეგმის შესრულების მონიტორინგის გამჭვირვალე მექანიზმები.
გასაუმჯობესებელი მხარეები ➢ სტუ-ის მართვაში სტუდენტთა ჩართულობა საკმაოდ აქტიურია, თუმცა უნივერსიტეტის დასავლურ სისტემასთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით დაგეგმილია სტუდენტთა აქტივობის ხელშეწყობა და უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას,

ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
• უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას; • უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი; • უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას; • უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნების შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
აღწერა და შეფასება **უნივერსიტეტის სტრუქტურა.** უნივერსიტეტის სტრუქტურა შედგება ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) (შემდგომში ფაკულტეტი), დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი (ინსტიტუტი, ცენტრი, და სხვ.) ერთეულების, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან: რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიის, აკადემიური საბჭოს სამდივნოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოსაგან და სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან (ტექნოპარკები, საცდელ-საწარმოო, სასწავლო-საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სამოქალაქო განათლების, კლინიკური ცენტრები და სხვ.). უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის (გარდა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა) შექმნა, რეორგანიზაცია და გაუქმება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) გადაწყვეტილებით. ფაკულტეტი და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული იქმნება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ხოლო მისი რეორგანიზაცია და გაუქმება ხორციელდება აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი რეგულირდება სტუ-ის წესდებით დადგენილი წესით დამტკიცებული შესაბამისი დებულებებით. სტუ-ის ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა რგოლის ერთობლიობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებასა და სტუ-ის დასახული მიზნების მიღწევას. სტუ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული შესაბამის დებულებებში. სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს. **უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია):** ა) აკადემიური საბჭო; ბ) წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი); გ) რექტორი; დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი); ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. **ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:** ა) ფაკულტეტის საბჭო; ბ) დეკანი; გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. **დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოებია:** ა) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო; ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი. უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების წესები განისაზღვრება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების

შესახებ“ საუნივერსიტეტო დებულებით (შემდგომში – არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება), რომელსაც შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).

არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება განსაზღვრავს მართვის ორგანოებში არჩევა/დანიშვნის მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი ხედვისა და სამოქმედო გეგმის განხილვას. სტუ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურები დამტკიცებულია, არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.

უნივერსიტეტის მართვის პრინციპები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს: ა) უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) ანგარიშებისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების საჯაროობას; ბ) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, აკადემიურ თავისუფლებას, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში; გ) აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში; დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა და სხვა; ე) უნივერსიტეტში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.

სტუ-ის მართვაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ელექტრონული ისეთი ტექნოლოგიები, როგორებიცაა: საბუღალტრო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების სექტორის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; კანცელარიის აღრიცხვის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; შესყიდვების განყოფილების საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილების საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; არქივის აღრიცხვის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა; სასწავლო პროცესის მართვის, მონიტორინგისა და აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა; სასწავლო ცხრილების ფორმირების ავტომატიზებული სისტემა და სხვ.

ზემოაღნიშნული თანამედროვე მართვის სისტემები უზრუნველყოფენ მართვის ორგანოების მიერ დროული და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას აკადემიურ, სამეცნიერო თუ ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით.

ეფექტური მართვისა და საქმისწარმოებისთვის სტუ-ში შემუშავებულია „საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რაც წარმოადგენს უნივერსიტეტის მენეჯმენტის ნორმატიულ-მეთოდიკურ დოკუმენტს, და აერთიანებს იმ პრინციპებსა და ნორმატივებს რომელიც ადგენს მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირებისა და დოკუმენტებთან მუშაობის წესების ერთიან მოთხოვნებს. ამ დოკუმენტის მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების რაოდენობის ოპტიმიზირება, მათი შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვის.

წესები შემუშავებულია „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსტ 76: 2009 „საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტები. დოკუმენტების გაფორმების მოთხოვნები“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლს იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების “ საფუძველზე.

საქმისწარმოების ერთიან წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის

უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივთან შეთანხმებით. „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში საარქივო საქმეს მართავს და საქმისწარმოების სრულყოფასა და ეროვნული საარქივო ფონდის განვითარებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი“.

სტუ-ში საქმისწარმოება ხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტის - კანცელარიის მიერ; მასვე ევალება: საქმისწარმოების ორგანიზაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, მიღებული წესების მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებული ნორმატიული და მეთოდიკური დოკუმენტების დანერგვა და შესრულებაზე კონტროლი, დოკუმენტებთან მუშაობის მეთოდიკური ხელმძღვანელობა.

სამსახურებრივი დოკუმენტები მათი მომზადების პროცესში კონფიდენციალურია. უნივერსიტეტის თანამშრომლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამსახურებრივი დოკუმენტების მოვლისა და მათში ასახული ინფორმაციის დაცვისათვის. დოკუმენტებზე მუშაობისას უნივერსიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის უნდა იყოს მჭიდრო თანამშრომლობა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ინფორმაციის გაცემა დასაშვებია უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან სხვა დეპარტამენტის მიერ უნივერსიტეტის რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №127/ნ (2011 წლის 22 ივლისი) „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად სტუ-ის სწავლების დეპარტამენტში არსებული რეესტრის ჯგუფი უზრუნველყოფს რეესტრში ინფორმაციის დროულ ასახვას.

სტუ-ის ძირითადი საქმიანობის ეფექტური მართვისა და მიმდინარე პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს ეფექტური განვითარების სტრატეგიული (2018-2024 წწ) და სამოქმედო (2018-2020) გეგმები, რომლებშიც სტუ ითვალისწინებს შესაძლო რისკებს, მათი სრულად ან ნაწილობრივ თავიდან აცილების საშუალებებს.

სტუ-ის მიერ შემუშავებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“ უზრუნველყოფს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგს და შეფასების სისტემას. აღნიშნული დოკუმენტი ავალდებულებს ადმინისტრაციულ პერსონალს უზრუნველყოს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო. ისინი უნდა ემორჩილებოდნენ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას. უნივერსიტეტის საჭიროებისათვის ეფექტიანად გამოიყენონ უნივერსიტეტის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები.

მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა/დარღვევა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საფუძველია.

ადმინისტრაციული პერსონალისთვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები: შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, დაბალ ანაზღაურებაზე გადაყვანა (3-დან 6 თვემდე ვადამდე), სამსახურიდან დათხოვნა.

უნივერსიტეტში ეთიკის კოდექსის შესრულება და დისციპლინის მონიტორინგი ხორციელდება დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოების და შინაგანაწესის შესაბამისად, უნივერსიტეტის სათანადო უფლებამოსილების მქონე სტრუქტურული ერთეულის მიერ. ადმინისტრაციის ეთიკის კომისიას ქმნის უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის ეთიკის კომისიას ქმნის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, ხოლო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ეთიკის კომისია იქმნება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სტუ-ში შექმნილია და ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური. სტუ-ის მისიისა და მიზნების შესაბამისად, აღნიშნული სამსახურის მიერ შემუშავებულია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და პოლიტიკა, რაც მოიცავს უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობასა და ნდობის ამაღლებას.

ინტერანაციონალიზაციის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის პოლიტიკა ითვალისწინებს: სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობას; ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას; მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან ურთიერთობების განვითარებასა და ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას; უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოზიდვის მექანიზმების დახვეწას და სხვ.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გეგმით გათვალისწინებულია ძირითადი საგანამანთლებლო ერთეულებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობის მაღალი ხარისხი, განსაზღვრულია ჩართული და პასუხისმგებელი პირების წრე, შესაბამისი კომპეტენციები და უნარები (იგულისხმება უცხოური ენის კარგი ცოდნა, თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის უნარი, სათანადო საკომუნიკაციო თვისებები, პროექტების მართვის გამოცდილება, სწავლისა და ინოვაციების ძიების უნარი და ა.შ.).

ინტერანაციონალიზაციის მაღალი სტანდარტების მანიშნებელია ისეთი კრიტერიუმების არსებობა და განვითარება, როგორიცაა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა, ერთობლივი პროგრამები, ერთობივი პროექტების შემუშავება/განხორციელება და საერთაშორისო კვლევებში ჩართულობა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სამსახურის საქმიანობა უზრუნველყოფს ისეთი აქტივობების შესრულებას, როგორიცაა:

- მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევით ორგანიზაციებთან და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებთან არსებული ურთიერთობების განვითარება და ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით და საგანმანთლებლო პროგრამებში უნივერსიტეტის აქტიურად ჩართვის, ერთობლივი პროექტების წარმატებული მომზადებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ამ მხრივ, საერთაშორისო და ადგილობივ პარტნიორებთან შესაბამისი კომუნიკაციების დამყარება და კოორდინაცია და სათანადო დოკუმენტაციის, მათ შორის მემორანდუმების მომზადება;
- საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობა და მომავალში მისი რაოდენობრივი ზრდა, მეტი ჩართულობის უზრუნველყოფით. ამასთან დაკავშირებით, სამსახური უზრუნველყოფს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტების განსახორციელებლად სათანადო კონსულტაციების გაწევას დაინტერესებული პირებისთვის და ამასთანავე, პროექტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად მნიშვნელოვანი დოკუმენტაციისა და სათანადო მასალების მომზადებასა და დამუშავებას;
- სამსახურის საქმიანობა ითვალისწინებს უნივერსიტეტის აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, მათ შორის, Erasmus+ გაცვლით პროგრამებში, რომელიც გულისხმობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევარების და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას, როგორც უცხოეთის უნივერსიტეტებში, ასევე, უცხოეთის უნივერსიტეტებიდან სტუ-ში; სამსახური პერმანენტულად უზრუნველყოფს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველებსა და დაინტერესებულ პირებს შესაბამისი კონსულტაციებით და აქტიურად ეხმარება მათ აპლიკაციის წარმატებულად წარმართვის პროცესში. გათვალისწინებულია სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა;
- სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, სამსახური აქტიურად უწყობს ხელს, როგორც უცხოელი სტუდენტების, ისე უცხოეთის მოწინავე ინსტიტუტციების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოწვევასა და საუნივერსიტეტო პროცესებში მათ ჩართულობას;

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აღნიშნული სამსახურის აქტიური ჩართულობით სტუ-ში სხვსადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 410 უცხოელი სტუდენტი; ხორციელდება 33 საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი; 118 სტუდენტმა და 86 აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღეს გაცვლით პროგრამებში; სტუ-ში ლექციების წასაკითხად მოწვეული იყო 43 უცხოელი პროფესორი

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან; გაფორმებულია მრავალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და სხვ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ორიენტირები ეყრდნობა ევროპული საგანმანათლებლო გარემოს ძირითად პარადიგმებს, რომელთაც საზოგადოება იცნობს როგორც: ბოლონიის, ლისაბონის, კოპენჰაგენის პროცესსა და ლისაბონის კონვენციას. იმისათვის, რომ სტუ-მ შესაბამისად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, გაზარდოს საკუთარი საქმიანობის ეფექტურობა, მომსახურების ხარისხი, დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების დონე, ინტერნაციონალიზაციის პროცესი. სტუ-ის სტრატეგიულ განვითარებაში უპირობო პრიორიტეტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარებისა და ნდობის განმტკიცებას

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტური და თანმიმდევრული პოლიტიკის წარმართვის მიზნით, სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია“, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების გეგმის დამხმარე დოკუმენტს და ითვალისწინებს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის კუთხით დასმული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გზების ძიებას და მასთან დაკავშირებული საკითხების დროულ გადაწყვეტას.

უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რისი დადასტურებაა სტუ-ს ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია პერსონალის სამეცნიერო მიღწევების შესახებ და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები (http://science.gtu.ge) კერძოდ, უცხოეთში გამოცემული სტატიების რაოდენობა - 4,826; უცხოეთში რეგისტრირებული გამოგონებები და პატენტები - 399; სტუ-ს მიერ მოწყობილი საერთაშორისო კონფერენციები - 2,502; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა: ა) საქართველოში მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციებში - 3,791; ბ) უცხოეთში მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციებში - 2,994; საერთაშორისო გრანტებში და პროექტებში - 592.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განხორციელებისა და უნივერსიტეტის მხრიდან მათი ხელშეწყობის შესწავლის მიზნით, 2018 წელს ჩატარდა სტუ-ს პერსონალის გამოკითხვა. საწყის ეტაპზე გამოიკითხა 322 პირი. ქვემოთ მოცემულია პროცენტული მაჩვენებლები გამოკითხვის შედეგების მიხედვით. აღნიშნული გამოკითხვა ეტაპობრივად მოეწყობა.

ასევე, ქვემოთ მოცემულია სტუ-ს 11 ფაკულტეტისა და უნივერსიტეტთან არსებული 15 დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო გრანტებში მონაწილეობისა და უცხოეთის აკადემიების წევრობის შესახებ პროცენტული მაჩვენებლები.

პროცენტული მაჩვენებლები სტუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების მიხედვით











პროცენტული მაჩვენებლები ფაკულტეტისა და უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო გრანტებში მონაწილეობისა და უცხოეთის აკადემიების წევრობასთან დაკავშირებით.

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები





ფაკულტეტები





მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანება;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის № 01-05-04/69 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი);
3. „სტუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/12;
4. უსდ-ის საქმიანობის წლიური ანგარიშები;
5. სტუ-ის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
6. უსდ-ის სტრუქტურა;
7. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 29 იანვრის № 1 გადაწყვეტილება;
8. „სტუ-ის ერთიანი საქმისწარმოებისწესისა" და საქმეთა ნაერთი ნომეკლატურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 06 თებერვლის № 29 ბრძანება;
9. სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) 2014 წლის 15 ოქტომბრის № 1 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები" სტუ-ის ვებ-გვერდი http://gtu.ge/AboutStu/Ethical-

Code.php;

10. „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია „სტუ-ს აკადემიური საბჭომ 2018 წლის 2 აპრილის № 01-05-04/97 დადგენილება;
11. უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას;
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

აღწერა და შეფასება

საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ (მუხლი 2, პ. „ჰ[22]“) ხარისხის უზრუნველყოფა არის შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, შეფასების შიდა პროცედურების შესრულებას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო შეფასების გარე პროცედურების - სხვადასხვა სააგენტოები. ზემოაღნიშნული კანონის თანახმად (მუხლი 25, პ. 2), უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით უნივერსიტეტში უნდა არსებობდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, მათ შორის, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში. ამრიგად, უნივერსიტეტი ვალდებულია შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ანუ სისტემა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ხარისხის შიდა შეფასების პროცედურები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უნივერსიტეტის მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროცესების მაღალი ხარისხისა და მაღალი დონის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენტურობების მქონე, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და მაღალი მორალურ-ზნეობრივი თვისებების მატარებელი სპეციალისტების მომზადება. აღნიშნული მიზნის მიღწევა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებით. ეს ნაწილები მჭიდროდ არის დაკავშირებული და ორივე ერთად ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ჩარჩოს საფუძველს ქმნის. ხარისხის გარე უზრუნველყოფა, აღიარებს უნივერსიტეტის მიერ შესრულებულ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტს და ამით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული შიდა საქმიანობის პირდაპირ რელევანტურობას ხარისხის გარე უზრუნველყოფასთან.

საქართველოს ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სტუ-ში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ჩამოყალიბებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც მუდმივად იხვეწება საერთაშორისო სტანდარტებში მოცემული შემდეგი ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით:

1. მომხმარებელზე ორიენტაცია.
2. ხელმძღვანელობის ლიდერობა.
3. თანამშრომელთა ჩართულობა.
4. მუდმივი გაუმჯობესება.
5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე.
6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან.

სტუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის სტრუქტურა, ფუნქციონირება და განვითარება ეფუძნება ISO 9000 სერიის ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტები მოიცავენ ხარისხის მენეჯმენტის ტერმინებსა და განსაზღვრებებს, ძირითად პრინციპებს, მოთხოვნებს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხარისხის მენეჯმენტის სისტემების მიმართ, მდგრადი შედეგების მიღების სახელმძღვანელოს, აგრეთვე, საკმარისად ნათელ რეკომენდაციებს რა უნდა გაკეთდეს ორგანიზაციაში და რა თანმიმდევრობით ხარისხის მენეჯმენტის სისტემის აგებისა და მისი შემდგომი მუდმივი გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული სტანდარტების უნივერსალური ხასიათის მიუხედავად ისინი მეტწილად

ორიენტირებულები არიან სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე. ამიტომ, გათვალისწინებულია უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის მიერ შემუშავებულ სპეციალურ დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“ მოცემული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფისათვის, რომელიც ადაპტირებულია უნივერსიტეტების სპეციფიკასთან.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის პრაქტიკულად ყველა სტრუქტურული ერთეული. განსაკუთრებით ის სტრუქტურები, ვისი უშუალო მოვალეობა არის ზრუნვა ხარისხის უზრუნველყოფაზე. ესენია უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, აგრეთვე, სწავლების დეპარტამენტი, სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი და სხვ. გარდა ამისა, აღნიშნულ პროცესებში აქტიურად არიან ჩართულები აკადემიური დეპარტამენტები, მთლიანად აკადემიური პერსონალი და, ფაქტობრივად, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს ყველა დონის თანამშრომლები. დაგეგმილი შედეგების მიღებისათვის აუცილებელია მათი დადებითი მოტივაცია, სრული ჩართვა დაწესებულების საქმიანობის სრულყოფაში, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებაში და მათი პოტენციალის რაციონალური გამოყენება. ამის მიღწევა შესაძლებელია პერსონალის მართვის ეფექტიანი სისტემის გამოყენებით. შედეგად მივიღებთ მოტივირებულ და დაწესებულების საქმიანობაში აქტიურად ჩართულ, საკუთარ შედეგებზე მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პერსონალს. ამასთან ერთად, თითოეულ თანამშრომელს გარკვეული ექნება საკუთარი წვლილი და როლი ორგანიზაციის საქმიანობაში და აქტიურად იზრუნებს როგორც უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე, ასევე, საკუთარი კომპეტენტურობისა და ცოდნის დონის ამაღლებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი აქვს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. მან, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მიზნებისა და საქმიანობის მიმართულებების ერთიანობა. მან უნდა შექმნას და მხარი დაუჭიროს ისეთ შიდა სამუშაო გარემოს, სადაც დაწესებულების მთელ კოლექტივს საშუალება ექნება მთლიანად ჩაერთოს დასახული მიზნების შესრულებასა და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტაში. ასეთი მიდგომით თანამშრომლებისთვის ცნობილი იქნება ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები და, სავარაუდოდ, მოტივირებულები იქნებიან მათ შესრულებაზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების არსებობას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ეფექტიანად განხორციელებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი მოიცავს თანმიმდევრულ პროცესებს, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლებისა და სწავლის პროცესების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ხარისხის, აგრეთვე, რესურსების უწყვეტი შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება. იგი ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად, ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და განვითარება - PDCA (Plan, Do, Check and Act). PDCA წარმოადგენს დაუსრულებელ ციკლს, რომლის რეალიზაცია ხდება სამუშაო პროცესის ყველა ფაზაზე და უნივერსიტეტის მართვის ყველა დონეზე. აღნიშნული ციკლის საფუძველია მოსაზრება, რომ რომელიმე პროცესის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ამ პროცესის დაგეგმვა, გეგმის შესრულება, შესრულების შემოწმება და შედეგების ანალიზის გათვალისწინებით მოქმედება განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, რაც, ჩვეულებრივ, იწვევს გეგმების გადახედვას და ა. შ. პერიოდულად ხდება აღნიშნული ციკლისა და მისი შემადგენელი ელემენტების დახვეწა. საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით იგი განთავსებულია ვებ-გვერდზე http://gtu.ge/quality/Quality-Ensuring.php

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი საფუძველია ხარისხის შეფასების შედეგები. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის № 450[1] დადგენილებით დამტკიცებულია სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf). დადგენილებით განსაზღვრულია შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ფაქტორები, ხოლო აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილებით „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ დადგენილებით http://gtu.ge/quality/Files/Pdf/531%20shefaseba.pdf

დამტკიცდა შეფასების პროცედურა, შეფასებული პირების რანჟირების დონეები და შესაბამისი შედეგები. აღნიშნული დადგენილებებით განსაზღვრული პროცედურების თანახმად ფასდებოდა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა მიერ განხორციელებული სწავლების პროცესის ხარისხი მეცადინეობებზე სპეციალური კომისიის დასწრების საშუალებით, რაც გარკვეულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. შემდგომში შეფასების პროცედურები დაიხვეწა და გაუმჯობესდა. კერძოდ, უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 23 მარტის № 42 ბრძანებით (http://gtu.ge/quality/Files/Pdf/brdz%20kom.pdf) ფაკულტეტებზე შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მუდმივმოქმედი კომისიები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსების ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში წარმოდგენილია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, მათ შორის, პროგრამების კურატორი და სტუდენტები. რეგლამენტის თანახმად კომისია ამოწმებს ფაკულტეტზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე, პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას.

ზემოაღნიშნულის გარდა, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 ივლისის №2095 დადგენილების საფუძველზე და სტუ-ის რექტორის 2016 წლის 10 ივნისის № 94 ბრძანების „ლექცია-სემინარების მიმდინარეობის ხარისხის შეფასების შესახებ“ შესრულების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი აუდიო-ვიდეო სისტემის შექმნის მიზნით, შემენილი იქნა სათანადო ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა. კონტროლი აუდიო-ვიდეო სისტემის ინსტალაციაზე და მის სრულფასოვან ექსპლუატაციაზე დაევალა სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასწავლო პროცესის ზედამხედველობის სისტემის მართვისა და ექსპლუატაციის ჯგუფს. ამ პროცესებში აღნიშნული ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტთან. პირველ წელს სისტემა ფუნქციონირებდა საცდელ რეჟიმში. ამიტომ, მეცადინეობების ხარისხის შეფასების გარდა ყურადღება გამახვილდა გამოსახულებისა და ხმის ხარისხზე, აუდიტორიაში ვიდეო კამერის პოზიციაზე, რამდენად მოიცავს და ასახავს იგი სტუდენტებს, პედაგოგს, თვალსაჩინოებას და ა. შ., აგრეთვე, სისტემის ფუნქციონირების სხვა ელემენტებზე. შემოწმდა სხვადასხვა ფაკულტეტზე ჩატარებული 38 მეცადინეობა. ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე შემუშავდა წინადადებები როგორც მეცადინეობების ხარისხთან, ასევე, სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. წინადადებები გადაეცა სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტს, რომელსაც დავალებული აქვს სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ლექცია-სემინარების შეფასების აუდიო-ვიზუალური სისტემის საცდელი ექსპლუატაციის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები ოპერატიულად გასწორდა. სისტემის საშუალებით ხდება მეცადინეობების მიმდინარეობის ჩაწერა, რაც ამარტივებს და მნიშვნელოვნად ამაღლებს კომისიების მიერ მეცადინეობების შეფასების ეფექტიანობასა და ობიექტურობას. შეფასების შედეგები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით და გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის. სტუ-ის მიერ დაგეგმილია აღნიშნული სისტემის სრულყოფა.

უნივერსიტეტში შიდა გრანტის ფარგლებში 2016 წელს შემუშავდა „პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ავტომატიზებული სისტემა“. აღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც პედაგოგის კომპეტენტურობა, ასევე, მისი საქმიანობა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით და სამეცნიერო მუშაობა. მეცადინეობებს აფასებენ ზემოთ აღნიშნული საფაკულტეტო კომისიები. შემოწმების ობიექტების შერჩევის კრიტერიუმებად მიღებულია სტუდენტების დასწრება/მოსწრების, აგრეთვე, პედაგოგების მიერ მეცადინეობების გაცდენების ანალიზის შედეგები, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თხოვნები, შერჩევის რანდომული მეთოდები და სხვ. სისტემის ფუნქციონირების პრინციპები განხილული იქნა სხვადასხვა დონეზე, აგრეთვე, იგი შემოწმდა სატესტო რეჟიმში. განხილვებისა და შემოწმების შედეგების საფუძველზე სპეციალურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მისი საცდელი ექსპლუატაციის (პილოტირების) განხორციელების შესახებ ერთი ფაკულტეტის ერთი დეპარტამენტის მასშტაბით. შეფასების აღნიშნული სისტემა, ფაქტობრივად, უნივერსალურია, რადგან შესაძლებელია როგორც შეფასების კრიტერიუმების, ასევე, სხვა პარამეტრების ცვლილება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მომხმარებლის დონეზე. ამიტომ იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც აკადემიური, ასევე, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული უწყისი, სადაც ფიქსირდება ინფორმაცია ყველა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ აკადემიური ჯგუფისა და სასწავლო კურსის მიხედვით. პერიოდულად ხდებს აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი. შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

სტუ-ის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დარგობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, თუმცა, ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, ამ კუთხით მუშაობა უფრო აქტიურად უნდა წარიმართოს. უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. შემუშავებულია სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი. კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და სხვა საკითხების შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები. კითხვარის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა პირებმა. გამოკითხვა ტარდება პერიოდულად, ონ-ლაინ რეჟიმში. ამასთან ერთად, შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასების მაჩვენებლები, კითხვარები დამსაქმებლებისათვის. ამ კითხვარებით შესაძლებელია დამსაქმებლებმა შეაფასონ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული.

ზემოაღნიშნულის გარდა, დაგეგმილია ფაკულტეტებზე ოფიციალურად ჩამოყალიბდეს „მრჩეველთა საბჭო“. საბჭოს წევრები იქნებიან შესაბამისი დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც ადგილობრივ კომპანიებსა და სააგენტოებში საქმიანობენ, აგრეთვე კურსდამთავრებულები. საბჭოს წევრები აქტიურად იქნებიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში. საბჭოს რჩევები და მისგან მიღებული ინფორმაცია ფაკულტეტებისათვის უფრო პრიორიტეტული იქნება, ვიდრე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ზოგადი გამოკითხვით მიღებული მონაცემები. საბჭოს სხდომებზე განიხილება საკითხთა ფართო სპექტრი. „მრჩეველთა საბჭო“, ასევე, ჩართული იქნება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც გულისხმობს პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების დადგენასა და მათ მოდიფიცირებას, პროგრამის შედეგების განსაზღვრას და სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. „მრჩეველთა საბჭოს“ შექმნასთან ერთად დაგეგმილია თითოეულ ფაკულტეტზე შეიქმნას „პროფესიული და კარიერული განვითარების ჯგუფი“. ამ ჯგუფების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება დამსაქმებლებთან ურთიერთობა, მათი მოთხოვნების კვლევა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის ინიცირება, რათა თითოეული კურსდამთავრებული გახდეს მეტად კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადი შრომის ბაზარზე.

შემუშავებულია სერვისების შეფასების კითხვარი და მაჩვენებლები. კითხვარის საშუალებით შესაძლებელია შეფასდეს ა) არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის, ბ) სტუდენტის მიერ სერვისის რეალურად მიღების შესაძლებლობა და გ) სერვისის გაწევით მიღებული შედეგების სარგებლიანობა. სტუ–ს ბაზაზე არსებულ თვითდაფინანსების ცენტრ „სტუნეტ“–ში შეიქმნა მობილური აპლიკაცია Gtu Table, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ყველა საფეხურზე მყოფი სტუდენტების გამოკითხვას ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. აღნიშნულ პროცესებს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი. დეპარტამენტმა ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა სერვისების ხელმისაწვდომობასთან, მიღების შესაძლებლობებთან და მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით. გამოკითხვა ჩატარდა Gtu Table–ს საშუალებით. ასევე, გაანალიზდა რამდენად შედეგიანია აღნიშნული მობილური აპლიკაციის გამოყენება.

დაგეგმილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის რეორგანიზაცია. ვებ-გვერდის დიზაინისა და მასში არსებული ინფორმაციის შესახებ კრიტიკული ანალიზი განხილულ იქნა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. სტუ-ის

რექტორის მიერ 2017 წლის მარტში ჩატარდა რამდენიმე თათბირი უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გაუმჯობესების თაობაზე ადმინისტრაციის სამსახურებისა და დეპარტამენტების, აგრეთვე, ფაკულტეტების დეკანების მონაწილეობით. ვებ-გვერდის დიზაინის გაუმჯობესების საქმეში ჩაერთვნენ უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის თანამშრომლები, რომლებსაც აღნიშნული მიმართულებით აქვთ საკმარისი ცოდნა და მუშაობის დიდი გამოცდილება. ვებ-გვერდის ზოგადი სტრუქტურის პროექტში გათვალისწინებულია სპეციალური რუბრიკები „სტუდენტური სერვისები", „შეგვეკითხეთ - გიპასუხებთ" და „ხშირად დასმული შეკითხვები". ვებ-გვერდის რეორგანიზაციაზე მომუშავე ჯგუფმა შეადგინა სამოქმედო გეგმა, რომლის ძირითადი ნაწილი დასრულების ფაზაშია. საბოლოოდ:

- დაიხატება და აეწყობა უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ახალი დიზაინი, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი რუბრიკები „სტუდენტური სერვისები", „შეგვეკითხეთ - გიპასუხებთ" „ხშირად დასმული შეკითხვები" და სხვ.;
- ვებ-გვერდი მოერგება მობილურებსა და პლანშეტებს;
- ვებ-გვერდის კონტენტის მართვა დაევალება სტუ-ის ტელევიზიას, შედეგად დაიდება ბევრად უფრო მრავალფეროვანი და საინტერესოდ გაფორმებული ახალი ამბები, ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ და ა. შ.;
- ვებ-გვერდი სრულად შეივსება კონტენტით როგორც ქართულ და უცხოურ ენებზე;
- გამოყენებული იქნება სტუდენტების ელექტრონული მისამართების ბაზა, კერძოდ, სტუდენტებს ახალი ამბები დაეგზავნებათ მათი ინტერესების მიხედვით;
- შეიქმნება უნივერსიტეტის მობილური აპლიკაციები GTU App (IOS-სა და Android-ზე). მათი საშუალებით სტუდენტები შეძლებენ ვებ-გვერდზე განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის ნახვას, მათ შორის, აკადემიური მოსწრების, მეცადინეობების ცხრილის, სერვისების და სხვ. გარდა ამისა, მიიღებენ ახალ ამბებს, პირდაპირ შეტყობინებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ლექტორებისგან, თვითმმართველობისგან და სხვ.

უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტი წარმოადგენს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების საერთო რაოდენობას. შესაბამისად, კონტინგენტის დაგეგმვა მჭიდროდაა დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასთან და განვითარებასთან. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა რთული კომპლექსური ამოცანაა, რაც მოითხოვს მრავალი, ხშირად ერთმანეთზე დამოკიდებული ფაქტორების ანალიტიკურ გააზრებასა და ოპტიმალურ გადაწყვეტას.

სტუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და მისი გახორციელების მექანიზმი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, რესურსებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სხვ., რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის ფორმალიზება, რაც აისახა „სტუ-ის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში". კერძოდ, აკადემიური საბჭოს დადგენილებით ცვლილება შევიდა მითითებულ ინსტრუქციაში და მას დაემატა პუნქტები სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის თაობაზე. აღნიშნულ დოკუმენტს საფუძვლად დაედო „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №33/ნ ბრძანება.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება ფაკულტეტის მიერ, მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური დეპარტამენტების ჩართულობით და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან მნიშვნელოვანია ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინება. სტუდენტთა

კონტინგენტი ექვემდებარება პერიოდულ შევსებას/განახლებას კურსდამთავრებულთა განთესვის ან/და პროგრამის განვითარების გამო.

სტუდენტთა კონტინგენტის შევსების/განახლების დაგეგმვა მოიცავს მომავალი სასწავლო წლის/სემესტრისთვის ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების ან მათ გარეშე, მობილობის ან სხვა, სწავლების საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული განათლება) შესაბამისი, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვისათვის მისაღები ადგილების დადგენას.
ამ მიზნით სწავლების დეპარტამენტი წინასწარ მიმართავს ფაკულტეტებს შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე. მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას ფაკულტეტები ითვალისწინებენ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების, დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობას და სხვა ფაქტორებს.

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის განვითარებისა და მექანიზმის სრულყოფის მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი განსაზღვრავს და გაითვალისწინებს სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანება;
2. „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება;
3. „სტუ-ის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“ (აკადემიურისაბჭოს 2010 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება) http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mobilobis_instruqcia_2018_SD.pdf;
4. „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 13 დეკემბრის №32 გადაწყვეტილება;
5. „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“ სტუ-ის რექტორის 2016 წლის 28 მარტის № 42 ბრძანება;
6. ელექტრონული პორტალი CV.ONLINE.GE;
7. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ სტუ-ის წარმომადგენელობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის № 01-06-02/06 დადგენილება;
8. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება;
9. სტუ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია;
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები;
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

აღწერა და შეფასება

2014 წლის 15 ოქტომბრის სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) #1 დადგენილებით დამტკიცებულია ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“) და შინაგანაწესი. „ეთიკის კოდექსი“ შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვითა და საჯარო განხილვის შედეგად. კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალზე, ასევე მოწვეულ სპეციალისტებზე და უნივერსიტეტის სტუდენტებზე. უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.

სტუ-ს ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს. სტუ-ს ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს პერსონალის ვალდებულება შეინარჩუნონ პროფესიული ღირსება, პატივი სცენ თავის საქმიანობას და იზრუნონ უნივერსიტეტისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის. სტუ-ს დეკლარირებული

აქვს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა.

სტუ-ის ეთიკის კოდექსი არეგულირებს:

- კოდექსის მოქმედების ფარგლებს და დანიშნულებას;
- პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის პრინციპებს, ქცევის წესებსა და ურთიერთობის ეთიკურ სტანდარტებს;
- დისციპლინურ წარმოებასა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.

საჯარო გაცნობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ამასთან მათ გაცნობას პერსონალისათვის უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი და მათი დაცვის აუცილებლობასა და შესაბამის რეაგირებაზე მითითებულია როგორც პერსონალთან, ისე სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

დღეისათვის, ინტერნეტრესურსების ფართო გამოყენების ფონზე ძალზე გაფართოვდა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომთან ხელმისაწვდომობა, რამაც, დადებითი შედეგების გარდა, გამოავლინა მეცნიერების მიერ სხვისი ინტელექტუალური საკუთრებით – პლაგიატით ოპერირების ფაქტები.

სტუ პლაგიატთან ბრძოლისათვის 2018 წლის 23 მარტიდან იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას – Strikeplagiarism. პროგრამული უზრუნველყოფა Strikeplagiarism-ი ხასიათდება: პროგრამის მოხმარების სიმარტივით; სწრაფი ოპერირებით; სისტემის დაცულობით; შემოწმების მაღალი სიზუსტით. სისტემის მენიუ და საკუთრივ პროგრამული უზრუნველყოფა მორგებულია ქართულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე, PDF თუ Microsoft Word ფორმატებში დაწერილი ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობით. პროგრამის გამოყენება გათვალისწინებულია სადოქტორო დისერტაციების, სამეცნიერო სტატიების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების და ყველა იმ პუბლიკაციის შემოწმება, რომელათა შექმნა და გამოცემა მოხდება უნივერსიტეტის მიერ.

ნაშრომი, სახელმძღვანელოების გარდა, ფასდება დადებითად თუ:

ა. მსგავსების კოეფიციენტი 1 არ აღემატება 50%-ს;

ბ. მსგავსების კოეფიციენტი 2 არ აღემატება 5%-ს;

სახელმძღვანელოს შემთხვევაში

ა. მსგავსების კოეფიციენტი 1 არ აღემატება 65%-ს;

ბ. მსგავსების კოეფიციენტი 2 არ აღემატება 10%-ს;

იმ შემთხვევაში თუ ვერ დადგინდა ნაშრომის სესხების ალბათობა, აღნიშნულ ნაშრომზე უნდა დაწესდეს სპეციალური კონტროლი.

ნაშრომის მიღემიდან 48 საათის გავლის შემდეგ, მსგავსების ანგარიშის საფუძველზე, ოპერატორი ამზადებს ნაშრომის „ორგინალობის“ კონტრილის ოქმს. იმ შემთხვევაში თუ ნაშრომში გამოყენებული იყო პლაგიატი ან ნასესხებია ციტატები სხვა წყაროდან, მაშინ ეს დოკუმენტი არ არის ორიგინალურ და, შესაბამისად, კომისიებისა და საბჭოების თავმჯდომარეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- სადისერტაციო ნაშრომი არ შეიცავს ტექსტის დიდ ფრაგმენტებს (მინიმუმ 50 სიტყვა), იდენტიფიცირებულს სისტემის მიერ როგორც მსგავსს;
- ადგილი არ აქვს სიტყვების გადამეტებას ერთი წყაროდან;
- არ არის დეტალური მსგავსება სამეცნიერო ნაშრომსა და ნასესხებ წყაროს შორის;
- თუ მეცნიერული ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, მაგრამ ციტატების რაოდენობა აღემატება ორიგინალურობის დონეს, ამ შემთხვევაში ნაშრომის 50%-ს, მაშინ ეს ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე და არ შევა სისტემის საინფორმაციო ბაზაში. ავტორმა უნდა მოახდინოს ნაშრომის კორექტირება ანტიპლაგიატის სისტემის ყველა პროცედურის შესაბამისად, ამისათვის მას ეძლევა 5 სამუშაო დღე.

კომისიის გადაწყვეტილებაზე უთანხმოების შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელს და დისერტანტს, კომისიის მიერ შედეგის გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში უფლება ეძლევა ფაკულტეტის დეკანს ან ინსტიტუტის დირექტორს მიმართოს საჩივრით. აქ ჩამოთვლილი ხელმძღვანელი მუშაკები

ღებულობენ საბოლოო გადაწყვეტილებას 10 სამუშაო დღის განმავლობაში, აპელაციით მიმართვის დღიდან. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ფაკულტეტი ან ინსტიტუტი ნაშრომის წარმდგენის მიმართ იღებს დისციპლინარულ ზომებს, რომლებიც გატარდება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ ადგილობრივი კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდა პროცედურების შესაბამისად. აპელაცია შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებში გათვალისწინებულია პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების მექანიზმები. პლაგიატი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაუცემლობის ან გაუქმების საფუძველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანება. სტუ-ის ვებ-გვერდი http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php
2. სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) 2014 წლის 15 ოქტომბრის № 1 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“ სტუ-ის ვებ-გვერდი http://gtu.ge/AboutStu/Ethical-Code.php
3. პლაგიატის აღმოჩენისა და პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით უნივერსიტეტის მიერ შემენილი სპეციალური პროგრამული პაკეტი (ლიცენზიის ხელშეკრულება 2018 წლის 23 მარტის № 123-2018);
4. პროგრამული უზრუნველყოფის – Strikeplagiarism-ის გამოყენების წესი (პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები);
5. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილება;
6. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულება“ სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2018 წლის 14 თებერვლის № 01-06-02/08;

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

- სტუ-ის ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;
- სტუ-ს მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის გამჭვირვალე, სამართლიანი, ხელმისაწვდომი და კანონთან შესაბამისი პროცედურები;
- სტუ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოების საქმიანობის ეფექტური მართვის მექანიზმები;
- სტუ-ის ხელმძღვანელობა მისიისა და მიზნების შესაბამისად, ხელს უწყობს უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობას, ახალგაზრდობის ჩართულობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესს;
- ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის ეფექტური მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას;
- აკადემიური თავისუფლების, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მარეგულირებელი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი მექანიზმები;
- პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები;
- გამოკითხვის ელექტრონული პორტალი CV.ONLINE.GE.

გასაუმჯობესებელი მხარეები

- კითხვარების დახვეწა და ანალიზი უკუკავშირის მისაღებად;
- დამსაქმებლის გამოკითხვის მექანიზმების დახვეწა;
- პროფესიული და აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი უნიფიცირებული კატალოგის შექმნა;
- საკონსულტაციო ჯგუფების ჩართულობის გაზრდა;
- პერმანენტული ტრეინინგების ორგანიზება;

- ორგანიზაცულ სტრუქტურებში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა;
- ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

- უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

აღწერა და შეფასება

2018 წლამდე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებდა „საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი“ (აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის № 1125 დადგენილება), რომელიც, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად გადამუშავების შედეგად ჩამოყალიბდა როგორც „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი”.

ახალი წესის ფორმირება განხორციელდა სტუ-ის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებისა და სწავლების დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №33 ბრძანების საფუძველზე.

აღნიშნული წესი მოიცავს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, ასევე მასში განხილულია პროგრამის მოდიფიცირების და გაუქმების წესი და პროცედურები.

აღნიშნული წესის მიხედვით პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, შეფასება და განვითარება ურთიერთანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე. კერძოდ, სტუ-ის აკადემიური და დამხმარე პერსონალი, სუდენტები, კურსადამთავრებულები, დარგის სხვა და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი და შრომის ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას. აღნიშნულ დოკუმენტში, აგრეთვე ასახულია ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის საფუძველები და პროცედურები.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პირველ ეტაპს წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და შესაბამისის კვალიფიკაციის სპეციალისტებისადმი დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, რის საფუძველზეც უნივერსიტეტის შესაბამის დეპარტამენტში ხდება საგანამათლებლო პროგრამის შექმნის მიზანშეწონილობის განსაზღვრა, მის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნული დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების გამოსავლენად სტუ პერიოდულად აწყობს შეხვედრებს და ატარებს გამოკითხვებს როგორც სტუდენტებთან, ასევე კურსდამდავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლიდან სტუ-ში დაინერგა ელექტრონული კითხვარების გამოყენების პრაქტიკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული და ქსელში

რეგისტრირებული პირისთვის. ამ ახალმა მეთოდმა საგრძნობლად გაამარტივა დაინტერესებული პირების ჩართულობა პროგრამების შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესი.

პროგრამის შემუშავების შემდგომ ეტაპზე ხდება პროგრამის სილაბუსებისა და მათი ლოგიკური წყობის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სტუ ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს (პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით), პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას.

სტუ აქტიურად მუშაობს პროგრამების განახლებასა და განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას მუდმივად ცვალებად გარემოსთან. პერიოდულად ხდება პროგრამების მოდიფიცირება სათანადო გარემოებების საფუძველზე, რაც ნათლადაა ასახული წესში.

წესში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია აგრეთვე პროგრამებში ცვლილების შეტანისა და პროგრამების გაუქმების პროცედურები. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს და სტუდენტს ხელს უწყობს ანალოგიურ პროგრამაზე მობილობაში ან აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას.

პერიოდულად, დაინტერესებული მხარეების (პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები) მიერ მოწოდებული რეკომენდაციების განხილვის საფუძველზე, მოხდება წესის გაუმჯობესების წინადადებების შემუშავება და აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილვა.

ელექტრონული კითხვარებით მიღებული შედეგები და მათი ანალიზი დეტალურადაა მოცემული თანდართულ დოკუმენტებში. ქვემოთ მოყვანილია კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლები ფაკულტეტების მიხედვით.



სულ სტუ-ში 2017-2018 წწ. გამოკითხულ იქნა 4875 კურსდამთავრებული, რომელთაგან 62,4% დასაქმებულია პროფესიისთ, 27,7% დასაქმებულია სხვა პროფესიით, ხოლო 9,9% უმუშევარია.



როგორც დსაქმებული სტუდენტების მაჩვენებლების სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა სტუ-ში სტუდენტთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 14,46 %-ს შეადგენს.





სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ბაკალავრიატის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები სტუ-ში შემდეგნაირად ნაწილდება: A(91-100) - 4,5%; B-E(51-90) – 56.5%; F/FX(0-50) - 39%.



სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე მაგისტრატურის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები სტუ-ში შემდეგნაირად ნაწილდება: A(91-100) – 11,9%; B-E(51-90) – 67,7%; F/FX(0-50) – 20,4%.



სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე დოქტორანტურის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები სტუ-ში შემდეგნაირად ნაწილდება: A(91-100) – 39,6%; B-E(51-90) – 39,6%; F/FX(0-50) – 20,8%.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი" სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილება;
2. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
3. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი;
4. კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ (მათ შორის, დასაქმების მაჩვენებლი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითრებასთან დაკავშირებით;
5. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები.

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

აღწერა და შეფასება

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესში" (შემდგომში – წესი) მითითებულია, რომ პროგრამის შემუშავებისას სტუ ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით.

წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული და შესაბამისობაში უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

წესში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ცალკეულ დარგში პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ეყრდნობოდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს.

წესში მოთხოვნილია აგრეთვე, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფდეს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში და სტუდენტების მიერ

საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას.

პროგრამის კომპონენტის მოცულობის განსაზღვრა ხდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუ უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრამის კატალოგი ახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია სტუ-ის ვებ-გვერდზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, ამასთან სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას და ამით – მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

„სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ და „სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ“ რექტორის ბრძანებაში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა საჭიროებების მქონე სტუდენტთა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის, ასევე შესაბამისი სტუდენტების შეფასებების ვადებისა და სწავლის შედეგების ელექტრონულ უწყისებში ასახვის პროცედურების თაობაზე. უნივერსიტეტში დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე ცვლილება შევიდა აღნიშნულ ინსტრუქციაში, რომლითაც გამოიხატა უნივერსიტეტის ნება, მაქსიმალურად გაითვალისწინოს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნები, საჭიროებები, აკადემიური მომზადება და ისინი შეუფერხებლად ჩართოს საგანმანათლებლო პროცესში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების პროფესიული სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში ღია კონკურსის გზით მიღებულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა ასისტენტი, რომლებიც მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს და მათ მასწავლებლებს. ასევე, მათ მიერ ხდება ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა საჭირო საკითხებთან დაკავშირებით

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტები და მათი მშობლების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ინდივიდუალურად ხდება თითოეული კონკრეტული პირის საჭიროებების შესწავლა და მისი მხარდაჭერის გეგმის დამუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი” სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილება;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილება) მე-3 დანართი - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი;
3. სტუ-ს ფაკულტეტებზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამები www.gtu.ge;
4. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი http://gtu.ge/pdf/umaglesi_saganm_progra_katalogi.pdf;
6. აკადემიური კალენდარი;
7. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები;
8. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგი;
9. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ფაკულტეტების და პროგრამების მიხედვით;
10. პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულების მაჩვენებელი;
11. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის № 198 დადგენილება;

12. მობილობის სტატისტიკური მონაცემები 2012-2018 წწ.

3.3. სწავლის შედეგების შეფასება

- უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

აღწერა და შეფასება

სტუ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ასახულია „სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ (აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილება). იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს სტუდენტების უფრო სრულ ჩართულობას სასწავლო პროცესში და მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ ინსტრუქციაში და მნიშვნელოვნად შეიცვალა შუალედური შეფასების წესი; მეტი აკადემიური თავისუფლება მიეცა პროფესორს სილაბუსში შეფასების წესის განსაზღვრისას გაითვალისწინოს სწავლების საფეხურისა და სასწავლო კურსის სპეციფიკა.

სტუდენტის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

- სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას;
- შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში. აღნიშნული ხვედრითი წილი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის განრიგის შესახებ;
- შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში;
- დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;
- შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით;
- შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.;
- შუალედური შეფასების რეკომენდებული კომპონენტებია: ა) შუასემესტრული გამოცდა; ბ) მიმდინარე აქტივობის შეფასება: ტესტირება ღია ან დახურული კითხვებით; პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულება; თემატური პროექტი; საკურსო სამუშაო/საკურსო პროექტი; წერითი ან/და ზეპირი გამოკითხვა; ლაბორატორიაზე აქტივობა; სემინარზე აქტივობა; დისკუსიაში მონაწილეობა; იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა; კაზუსის ამოხსნა; ქეისი; კლაუზურა და სხვ.

სემესტრის განმავლობაში რეკომენდებულია ჩატარდეს ერთი შუასემესტრული გამოცდა. მიმდინარე აქტივობის მეთოდებიდან, სწავლების საფეხურისა და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია არანაკლებ 2-ის (ნებისმიერი) გამოყენება. შუასემესტული გამოცდების და მიმდინარე შეფასების მეთოდების რაოდენობა, მათი ჩატარების ფორმა, შინაარსი, მაქსიმალური ქულა, კრიტერიუმები და სკალები დგინდება სილაბუსის ავტორის მიერ და აღიწერება სილაბუსში, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სასწავლო სემესტრის განრიგის შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის № 198 დადგენილება; 2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/II/B/info; 3. საგანმანათლებლო პროგრამები; 4. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები ➢ აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია; ➢ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დიდი გამოცდილება; ➢ სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფისთვის სახელმძღვანელოების, სასწავლო და სასწავლო-მეთოდური მასალის მომზადების დიდი გამოცდილება; ➢ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების ხარისხზე ორიენტირებული პოლიტიკა; ➢ შესაბამისი დარგების საწარმოების შესახებ ინფორმაციის არსებობა; ➢ დამსაქმებლებთან კოლეგიალური ურთიერთობის არსებობა; ➢ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კანონმდებლობის კარგად ფლობა; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების ნათლად ჩამოყალიბებული, უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობა; ➢ კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას; ➢ ინფორმაციის არსებობა საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიური საქმიანობის საუკეთესო გამოცდილების შესახებ; ➢ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დახმარებისათვის უნივერსიტეტის სტრუქტურების მუდმივი მზადყოფნა; ➢ უნივერსიტეტის განზრახვა, გაითვალისწინოს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნები, საჭიროებები და აკადემიური მომზადება და ისინი შეუფერხებლად ჩაერთთოს საგანმანათლებლო პროცესში.
გასაუმჯობესებელი მხარეები ➢ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; ➢ ორმაგი ხარისხის მინიჭების მექანიზმების დახვეწა; ➢ გამოკითხვის ჩატარება და პოტენციურ დამსაქმებლებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობით საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება; ➢ კვლევაზე და პრაქტიკაზე ორიენტირებული მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; ➢ მოდულირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა; ➢ ზოგიერთი პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება; ➢ “ABET”-ის სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების დანერგვა; ➢ უწყვეტი განათლების როგორც მასობრივი, ისე მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში მისი პრაქტიკულად გამოყენება; ➢ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.

4. უსდ- პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას;
- უსდ უზრუნველყოფს საკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

აღწერა და შეფასება

იმისათვის, რომ სტუ-ში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური და მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა, უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“.

სტუ-ის საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის ნაწილს, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის განვითარების შიდა ასპექტებს, გარემო პირობების თავისებურებებს და მიზნად ისახავს ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევის უნარის მქონე მაღალპოტენციური გუნდის განვითარებისა და სტიმულირების სისტემის შექმნასა და განხორციელებას.

წარმატების მისაღწევად, სტუ-ისთვის უმნიშვნელოვანესია თითოეული თანამშრომლის და მათი მისწრაფებების დაკავშირება კორპორატიულ ინტერესებთან. სწორედ ესაა ადამიანური რესურსების მართვის მთავარი ფუნქცია. იგი ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია უნივერსიტეტსა და მასში დასაქმებულ ინდივიდებს შორის.

სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვის უმთავრესი მიზანია შექმნას ისეთი გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა საუნივერსიტეტო სტრატეგიების მართვის დასახმარებლად, შესაბამის გადაწყვეტილებათა მისაღებად.

სტუ-ის ყველა თანამშრომელი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ სტუდენტებისათვის სწავლის პროცესი იყოს ეფექტური და სასიამოვნო, რაც მისცემთ საშუალებას მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და მიაღწიონ წარმატებებს.

ადამიანური რესურსების ეფექტური მართვისათვის სტუ-ის გააჩნია:

- ნათლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა (სამუშაოზე აყვანის წესი);
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და გადამზადების პროგრამა;
- თანამშრომელთა შეფასების სისტემა.

ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესი წარმოადგენს სტუ-ში არსებული ეთიკური გადაცდომების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს. სტუ-ში სამსახურში მიღების გამჭვირვალობა და მისი საკანონმდებლო დონეზე მაქსიმალური რეგულირება წარმოადგენს კიდევ ერთ საშუალებას საუნივერსიტეტო ეთიკურ-კორპორატიული ნორმების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

თანამშრომელთა შერჩევისას უმნიშვნელოვანესია სტუ-ში დასაქმების მსურველთან გასაუბრება, რაც ხელს

უწყობს დასაქმების კანდიდატთან დამსაქმებლის უშუალო კონტაქტის დამყარებას, დამსაქმებლისათვის სასურველი კითხვების დასმისა და იმ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, შეესაბამება თუ არა დასაქმების კანდიდატი დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებს. გარდა აღნიშნულისა, გასაუბრებისას საყურადღებოა დასაქმების კანდიდატის შემდეგი მახასიათებლები:

- მოსაზრების არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი;
- სამსახურებრივი და პროფესიული მოტივაცია;
- ეთიკურ-კორპორატიული წესებისადმი მორჩილება;
- პიროვნული და სამსახურებრივი პასუხისმგებლობა;
- კომუნიკაბელურობა;
- სტრესულ სიტუაციებში მოქმედების უნარი.

სტუ-ის სამსახურებრივ სივრცეში მიღების პროცესის სწორად დაგეგმვასა და შესრულებას მრავალი დადებითი მხარე აქვს, რაც სტუ-ში მომსახურეთა არაეთიკური და არაკორპორატიული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური მექანიზმია. ამ მექანიზმის მეშვეობით ხდება სტუ-ში კვალიფიციური კადრების შერჩევა. ამასთან, აღნიშნული მეთოდი საჯარო ინტერესების დაცვის ეფექტური მექანიზმია. შერჩევის ეტაპების სწორად დაგეგმვის შედეგად მცირდება სტუ-ის სამსახურებრივ სივრცეში არაეთიკური და არაკორპორატიული ქცევის შემთხვევები.

თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ცვალებადი და დინამიკური გარემო, რაც არის ჩვენ საუნივერსიტეტო სივრცეში ახალი გამოწვევების მიზეზი და მათთან გამკლავება მოითხოვს ახალ მიდგომებს. სწორედ ამ მიზეზების შესწავლა და მათთან გამკლავება არის სტუ-ის ადამიანური რესურსის მართვის სტრუქტურის დიდი გამოწვევა.

სტუ-ში ხელმძღვანელად იწოდება პირი, რომელიც დანიშნულია ან არჩეულია საუნივერსიტეტო სტრუქტურის სამართავად. სტუ-ში ხელმძღვანელობა თამაშობს მთავარ როლს საუნივერსიტეტო მართვის განხორციელებისას, რომელიც დაკავშირებულია სტუ-ის საერთო და კონკრეტული მიზნების, პრობლემების, ასევე რისკების შემცირებისა და რესურსების გადანაწილების მიზნით განხორციელებულ მთელ რიგ ქმედებებთან.

სტუ-ის ხელმძღვანელობა არის მენეჯმენტის ის რგოლი, რომელიც აყალიბებს ორგანიზაციის ხედვებს და მიზნებს, გეგმავს სამუშაოს, აკონტროლებს მისი მუშაობის ხარისხს და აფასებს საქმიანობის შედეგებს. შესაბამისად, ორგანიზაციის ეთიკურ-კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სტუ-ის ხელმძღვანელობას ჰქონდეს პრინციპული მიდგომა საუნივერსიტეტო ეთიკურ-კორპორატიული პრინციპებისა და თანამშრომლების მიერ მხრიდან ეთიკურ-კორპორატიული ქცევის მიმართ.

სტუ-ში ხელმძღვანელი ადგენს (შესაბამის საუნივერსიტეტო ნორმებზე დაყრდნობით) კონკრეტული ეთიკურ-კორპორატიული ქცევის წესებს და პირად მაგალითს აძლევს ხელქვეითებს. არსებობს მართვის სხვადასხვა სტილი, თუმცა ყოველი მათგანის მიზანია, ხელი შეუწყოს და დაამკვიდროს სტუ-ის მამოძრავებელი ღირებულებების, მენეჯმენტის, თანამშრომელთა და საერთო ორგანიზაციული ქცევის განხორციელება ეთიკისა და კორპორატიული ქცევის პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც ხელს უწყობს სტუ-ის ძირითადი მიზნების მიღწევას.

სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურისათვის საკადრო მენეჯმენტის განხორციელების მეთოდია როტაცია, როდესაც პერსონა სტუ-ში პერიოდულად იცვლის პოზიციას და სტრუქტურულ დანაყოფს. როტაციის მიზანია დასაქმებულთა მიერ სხვადასხვა გამოცდილების გაზიარება, ახალი უნარების შეძენა და სამსახურის პროდუქტიულობის ამაღლება.

სტუ-ის სტრუქტურები, რომლებიც ფლობენ სენსიტიურ ინფორმაციას ან პერსონალურ მონაცემთა სისტემებს, შეუძლიათ მიმართონ სამსახურში როტაციის მეთოდს. ეს მეთოდია სევე ხელს უწყობს საქმის სტაბილურად წარმართვას, რამდენადაც ბევრი ადამიანი თანაბრად არის ჩართული ფუნქციების შესრულების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დასაქმებულს არ შეუძლია შეასრულოს ესა თუ ის საქმიანობა, სხვა პირი შეძლებს მის წარმატებით შეცვლას.

სწავლების მეთოდად როტაციის გამოყენების დროს, დასაქმებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, გამოიმუშაონ საჭირო უნარები, რომელიც მათ უნივერსიტეტში დაწინაურებისთვის ეხმარება. ეს პრაქტიკა სტუ-ის აძლევს ეფექტურად ფუნქციონირების საშუალებას.

სტუ-ში როტაციის საშუალებით დასაქმებულ პირებს უნარები მრავალმხრივად უვითარდებათ. ეს ხელს უწყობს სამსახურის სტაბილურობას, თანამშრომლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას, წინსვლისთვის უფრო მეტ შესაძლებლობას და სტრუქტურული დანაყოფის მიზნების მიღწევის ეფექტიურობის ზრდას. აღნიშნული კი, თანამშრომელს უფრო ფასეულს ხდის უნივერსიტეტისთვის.

სტუ-ის ხელმძღვანელობა აღიარებს და აფასებს ყოველი თანამშრომლის მიღწევებს, ხდება თითოეულის ინიციატივისა და შემოქმედებითი ძიების წახალისება. უნივერსიტეტი დაინტერესებულია ყოველი თანამშრომლის განვითარებაში და მზადაა შესთავაზოს ყველანაირი საშუალება, რათა თანამშრომელმა შეძლოს თავისი პოტენციალის გამოვლენა.

წარმატებული და საპასუხისმგებლო თანამშრომლობა ყოველთვის ღიაობითა და უპირველეს ყოვლისა, მუდმივი კომუნიკაციით იზომება. ზოგადად, გუნდური მუშაობა ეფექტურად ხორციელდება მაშინ, როდესაც გუნდში ჩართული ყველა ინდივიდი მიისწრაფვის საერთო მიზნისკენ.

სტუ-ის გუნდები შედგება შესაბამისი უნარების მქონე მცირე რაოდენობის თანამშრომლებისგან, რომელთაც აქვთ საერთო მისია, არიან პასუხისმგებლები საერთო მიზნებზე და სამუშაო პროცესის გაუმჯობესებაზე. გუნდის წევრები ერთობლივად ცდილობენ მიაღწიონ საერთო მიზანს. სტუ-ის გუნდებს შეუძლიათ, განახორციელონ ამოცანათა უმრავლესობა ორგანიზაციაში: დროებითი კონკრეტული პროექტები და მუდმივი, ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც საჭიროა მომსახურების ან რეგულარული ამოცანების უზრუნველსაყოფად.

ზოგადად, სტუ-ის გუნდი არის თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც იზიარებს კონკრეტულ მიზანს, რომლის მიღწევაც შეუძლებელია კოორდინირებული მოქმედების გარეშე და ამავდროულად, მისი წევრები ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის წინაშე.

ეფექტური გუნდის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- გუნდის მიზნებისა და დანიშნულების დადგენა და იდენტიფიცირება;
- გუნდის ავტონომიის განსაზღვრა;
- მტკიცე ხელმძღვანელობა მიმართულების მისაცემად;
- გუნდის თითოეული წევრის როლის განსაზღვრა;
- გუნდის წევრების კომპეტენტურობა და საჭიროების შემთხვევაში დატრენინგება;
- გუნდს უნდა ჰქონდეს შედეგზე ორიენტირებული სტრუქტურა.

ჩვენი გუნდი ორიენტირებულია ერთიან მიზნებზე. დაფასებულია ყოველი თანამშრომლის საქმიანობა, ჩვენ ვართ პროფესიონალთა გუნდი, რომელსაც შეუძლია შეიტანოს საკუთარი წვლილი საერთო საქმეში.

შეფასების მიზნებია:

ადმინისტრაციული - დაწინაურება ან დაქვეითება, სხვა სამუშაოზე გადაყვანა, სასწავლებლად გაგზავნა, განთავისუფლება;

ინფორმაციული: - თანამშრომელს და მის უშუალო ხელმძღვანელს საქმიანობის შესახებ სანდო ინფორმაციის მიღების საშუალება; თანამშრომელი - ინფორმაცია შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის; ხელმძღვანელი - ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად;

მოტივირებული - შრომითი დანახარჯების ადექვატურად შეფასება; თანამშრომლის მოლოდინისა და შეფასების თანხვედრა; თანამშრომლის ქცევის შეცვლის მნიშვნელოვანი მოტივირებული საშუალება; თანამშრომლის შრომის ნაყოფიერების ზრდა.

სტუ-ის შიდა რეგულაციები უზუნველყოფენა პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევნების ჩატარების შესახებ ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ამასთან, სტუ-ის მკაფიოდ აქვს განსაზღვრული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაოს აღწერილობების, ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

შრომით ხელშეკრულებაში, აგრეთვე მკაფიოდ არის გაწერილი დამსაქმებლის უფლება-მოვალეობები, დასაქმებულის თანამდებობრივი სარგო, სამუშაო და რეჟიმი, შვებულებაზე გასვლის პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები.

ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

აღნიშნულთან ერთად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში გამარჯვებული ფიზიკური ვალდებულია გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება, რომლითაც იგი თანახმობას აცხადებს იყოს აფილირებული სტუ-ისთან. სტუ-ში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებები და მოვალეობები რეგულირდება „საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“-ს მიხედვით. წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

აფილირებული პირი ვალდებულია:

- განსაზღვროს თავისი აფილირება მხოლოდ სტუ-ისთან, სტუ-ის სახელით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და სტუ-ში:
- განახორციელოს ძირითადი საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობა, ხოლო მისი კვლევის შედეგები ჩაეთვლება სტუ-ის;
- აქტიურად იყოს ჩართული საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

სტუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ. აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს შრომითი ხელშეკრულების მოშლას.

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ (28.03.2018 მდგომარეობით)


აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა
403
497
197
68
363
პროფესორი
ასოცირებული პროფესორი
ასისტენტ პროფესორი
ასისტენტი
მეცნიერი


გრადაცია ასაკის მიხედვით მთლიანი მუშა კონტიგენტი
491
309
588
706
2254
35 წელზე ნაკლები
35-45 წ.წ
45-55 წ.წ
55-65 წ.წ
65 და ზევით


მთლიანი კონტინგენტი
2147
2201
მამრობითი
მდედრობითი


აკადემიური პერსონალი
514
652
მდედრობითი
მამრობითი



სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ, მათ შორის: აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა; პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი და უსდ-ის მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულები დეტალურადაა მოცემული დანართების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2016 წლის 29 ივნისის № 1 დადგენილება;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;
3. პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
4. სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ, მათ შორის: აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
5. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით;
6. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან;
7. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
8. ადმინისტრაციული პერსონალის და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა;
9. პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი;
10. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“ დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის #33 დადგენილებით. http://gtu.ge/pdf/kon/konkursi_2017/afilirebis_wesi.pdf;
11. უსდ-ის მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულები;
12. უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
13. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
14. პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
15. პერსონალის პირადი საქმეები;

16. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები.

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

- უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია

აღწერა და შეფასება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უნივერსიტეტში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტუ-ის გააჩნია აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. აკადემიური და მოწვეული პროფესორების დატვირთვის სქემა მოიცავს სასწავლო (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული, საკურსო პროექტი/სამუშაო და ა.შ) ან/და კვლევით კომპონენტებს (მაგისტრანტის და დოქტორანტის ხელმძღვანელობა), რომელიც ასახულია „სტუ-ის აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციაში“.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და შესაბამისი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, კვლევითი და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. ამის უზრუნველყოფის მიზნით სტუ-ში აკადემიური პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც მას უკავია აკადემიური არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს. აღნიშნულის რეგულირების მიზნით ცვლილება შევიდა აკადემიური დატვირთვის განაწილების ფორმაში. კერძოდ, მას დაემატა „სხვა უნივერსიტეტში კვირეული დატვირთვის“ შესახებ გრაფა.

პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე სტუ ითვალისწინებს სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტინგენტის რაოდენობას.

უნივერსიტეტის გამოცდილებიდან გამომდინარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყოფა მონათესავე სასწავლო კურსები, რომლებიც ქმნიან „საგანთა ჯგუფებს“, დგება წლიური აკადემიური დატვირთვა სტუდენტთა კონტიგენტის მიმდინარე და საპროგნოზო მაჩვენებლის მიხედვით. აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობის საბჭოს მიერ დგინდება აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვის ოდენობა (საათებში). „საგანთა ჯგუფის“ წლიური აკადემიური დატვირთვის გაყოფით პერსონალის წლიური დატვირთვის ნორმაზე მიიღება პროფესორ მასწავლებელთა ზღვრული რაოდენობა. აკადემიური საბჭოზე განხილვის შედეგად დგინდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მოცემულ საგანთა ჯგუფში. მათ შორის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის.

სტუ-ში დამუშავდა აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და აფილირების ხელშეკრულების ფორმა. სტუ-ის თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, შესაბამის კონკურსში გამარჯვების შემდეგ, სტუ-ისთან აფორმებს აფილირების ხელშეკრულებას.

სტუ თავისი საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, ადგენს სამიზნე ნიშნულებს პერსონალთან მიმართებით და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე (დეტალურად მოცემულია დანართების სახით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“ დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №.33 დადგენილება;
2. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,

შეფასების და განვითარების წესი" სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/01 დადგენილება; 3. სტუ-ის აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია (აკადემიურისაბჭოს2010 წლის14 მაისის№253დადგენილება); 4. სტუ-ის აკადემიური დატვირთვების განაწილების ფორმა; 5. პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; 6. აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და მაჩვენებელი ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც; 7. აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან და სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით; 8. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით; 9. აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; 10. აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან; 11. უსდ-ის მიერ დადგენილი სამიზნე ნიშნულები; 12. სტუდენტთა და აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები ➢ პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა და პროცედურები; ➢ ნათლად ჩამოყალიბებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობრივი ინსტრუქციები; ➢ სამართლიანი და ეფექტური დასაქმების პოლიტიკა (სამუშაოზე აყვანის წესი); ➢ თანამშრომელთა ინიციატივისა და შემოქმედებითი ძიების წახალისების მექანიზმები; ➢ თანამშრომელთა გენდერული ბალანსი; ➢ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული მონათესავე „საგანთა ჯგუფების" მიხედვით; ➢ სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ორივე სემესტრის დატვირთვაზე ინფორმირებულობა; ➢ სტუ-ში ყოველი სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვების დროულად და ორგანიზებულად მომზადებისა და დამტკიცების პროცესში კომპეტენტური კომისიის ჩართულობა; ➢ აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების პროცესში გამოცდილი თანამშრომლების ჩართულობა;
გასაუმჯობესებელი მხარეები ➢ ახალგაზრდა და უცხოელი კადრების მოზიდვა და საერთაშორისო ექსპერთების ჩართულობა; ➢ სამუშაო გარემოს პერიოდული გაუმჯობესება; ➢ საპროგნოზო აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების წესის დახვეწა.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვა;. სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
• უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო

დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები;

- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

აღწერა და შეფასება

სტუ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები:

- სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები მოცემულია „სტუ-ის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში“;
- სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის წესები მოცემულია „სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში“ და „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატის გაცემის წესში“.

სტუ-ში სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობის თანაფრდობა სხვა უნივერსიტეტებში გადასულ სტუდენტთა რაოდენობასთან (2012-2017 წწ) მოცემულია გრაფიკის სახით, ხოლო დეტალური ინფორმაცია, როგორც გარე, ასევე შიდა მობილობაზე მოცემულია დანართში.



ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატის ფორმის დამზადების წესების შეცვლასთან დაკავშირებით აკადემიური საბჭოს დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატის გაცემის წესში“.

სტუ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, რისთვისაც „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში“, „ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში“, „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესში“, ფაკულტეტების დებულებებში, „სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“, „სტუ-ის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციაში“, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) ცალკეულ დადგენილებებში, რექტორის შესაბამის ბრძანებებში, სტუდენტებთან გაფორმებულ

ხელშეკრულებებში და სხვა დოკუმენტებში გათვალისწინებულია სტუდენტთა უფლებები და ინტერესები.

სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის წარმომადგენლები არიან ფაკულტეტების საბჭოების, აგრეთვე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრები და ჩართულნი არიან აღნიშნული საბჭოების მუშაობაში. ამასთან, ფაკულტეტების მიერ დადგენილი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა ქვოტა სტუდენტთა სასარგებლოდ აღემატება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ნორმას (შეადგენს 1/3-ს, ნაცვლად 1/4-ისა). სტუდენტები სრულუფლებიანად მონაწილეობენ ამომრჩევლების სახით აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრების (როგორც აკადემიური პერსონალის ისე სტუდენტთა წარმომადგენლების), აგრეთვე ფაკულტეტების საბჭოებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების არჩევნებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

- დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის ყოველმხრივი დაცვა არასაუნივერსიტეტო ურთიერთობებში;
- ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში;
- დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- დახმარება გაუწიოს სტუდენტებს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბების საქმეში;
- დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში;
- ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა, ქართველ და არაქართველ სტუდენტებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარება;
- ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნებისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას; დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;
- შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა დასვენების, ყოფის, შრომითი მოღვაწეობის და სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება.

სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი. სტუდენტებისათვის საკონსულტაციო მომსახურების ფუნქციები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნული დეპარტამენტის გარდა აკისრია სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს, სწავლების დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტს, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტანდარტების სამსახურს, შესაბამის დეკანატებს, აკადემიურ დეპარტამენტებს და სხვ.

სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დონის ამაღლების მიზნით აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცდა „სტუდენტის საჩივრის განხილვის წესი“, რომელშიც დაწვილებითაა წარმოდგენილი სტუდენტის უფლების შელახვის შემთხვევაში მის მიერ საჩივრის მომზადების, წარდგენისა და განხილვის პროცედურები. აღნიშნული რეგულეციები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის სტუ-ის ვებ-გვერდზე.

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია „ცხელი ხაზის“ ამოქმდება, ხოლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ამუსავდება რუბრიკები „შეგვეკითხეთ - გიპასუხებთ“ და „ხშირად დასმული კითხვები“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

4. „სტუ-ის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“ (აკადემიური საბჭოს 201 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება).
   http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/stud_kont_form_mobil_instr_SD_10082017.pdf
5. სტუდენტთა მობილობის სტატისტიკა 2012-2018 წწ;

6. „სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ (აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილება). http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/martvis_%20instruqc_18_SD.PDF
7. აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილება „სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.
8. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ (სტუ-ის რექტორის 2015 წლის 31 ივლისის №141 ბრძანება);
9. „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატის გაცემის წესი“ (აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის №856 დადგენილება); http://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadgenileba856.pdf;
10. „ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ 2014 წლის 15 ოქტომბრის №62 სხდომის №1 დადგენილებით). http://gtu.ge/AboutStu/Ethical-Code.php;
11. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესი“ (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ 2014 წლის 18 სექტემბრის №59 სხდომის №1 დადგენილებით). http://gtu.ge/View/index.html#http://gtu.ge/pdf/senati/shinaganacesi_18.09.2014.pdf;
12. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება;
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით;
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვასა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას;
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

აღწერა და შეფასება

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებში სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. სწავლის დაწყებისთანავე პედაგოგი აწვდის სტუდენტს ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებულ საკონსულტაციო მომსახურეობაზე. ყოველი სემესტრის სასწავლო ცხრილის ფომირებისთანავე, პედაგოგი ადგენს ინდივიდუალურ საკონსულტაციო გრაფიკს, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის როგორც ონ-ლაინ რეჟიმში, აგრეთვე გამოკრულია შესაბამის დეპარტამენტებში თვალსაჩინო ადგილზე. ონ-ლაინ რეჟიმში პედაგოგი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის მეშვეობით თითოეული ჯგუფის გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილი კონსულტაციების, გამოცდების განრიგისა და სხვ.

სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი უზრუნველყოფს: საკარიერო სერვისის ფუნქციონირებას; სპორტულ-კულტურული მიმართულების საქმიანობის კოორდინაციას; შემოქმედებითი გაერთიანება ”ილიონი”-ს მართვას; კურსდამთავრებულთა ასოციაციის შექმნასა და მის კოორდინაციას; სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, სტუდენტური პროექტებისა და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობასა და კოორდინირებას; სპორტული კლუბების, კულტურის კერების მართვას, მუშაობის კოორდინირებას, გააქტიურებასა და წახალისებას; უნივერსიტეტის წამყვან სპორტსმენთა და შემოქმედთათვის უნივერსიადებში, საერთაშორისო შეჯიბრებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის ხელშეწყობას; შიდა საუნივერსიტეტო შეჯიბრებების ჩატარებას; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, სპორტულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მოწყობასა და პოპულარიზებას; დამსაქმებლებთან, სტუ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას და სხვ.

2014 წლამდე კურსდამთავრებულების კვლევა წარმოებდა დიპლომების განყოფილებასთან ერთად კითხვარების

საფუძველზე რომელიც ურიგდებოდათ კურსდამთავრებულებს დიპლომის აღების დროს საიდანაც შემოგვდიოდა ინფორმაცია მათი დასაქმების სტატისტიკურ მაჩვენებლებზე, ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კვლევა არ იყო სრულფასოვანი და არ გვაძლევდა ზუსტ სტატისტიკას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზუსტი ანალიზის გაკეთების მიზნით შემუშავდა კონცეფცია რითაც შესაძლებლობა მოგვეცემა სამომავლოდ მოხდეს გაუმჯობესებული სტატისტიკური მონაცემების მიღება. საწყის ეტაპზე მომზადებულია ვებ-გვერდი რომელიც არის შემდეგი ფუნქციებით აღჭურვილი:

- CV.ONLINE.GE წარმოადგენს დამსაქმებლების და სამუშაოს მაძიებელ სტუდენტთა დამაკავშირებელ სისტემას;
- მონაცემთა ბაზა შეიცავს დეტალურ ინფორმაციას სტუდენტების სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობების შესახებ;
- სისტემა საშუალებას აძლევს დამსაქმებელს მისთვის საინტერესო პარამეტრების მიხედვით მოიძიოს მისთვის სასურველი სტუდენტები და მოინახულოს მათი ელექტრონული CV, აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ნიშნების ფურცელი) და ვიდეო მიმართვა (სადაც სტუდენტი მოკლე მიმართვას აკეთებს საკუთარ თავზე);
- პორტალი სტუდენტს საშუალებას აძლევს ამომწურავად მიაწოდოს ინფორმაცია დამსაქმებელს საკუთარი მიღწევების შესახებ;
- დამსაქმებელს შეუძლია სასურველი კანდიდატის მოძიება მისი საფეხურის, სექტორის, პროგრამის და სემესტრის მიხედვით;
- სისტემა სპეციალური კრიტერიუმებით აგენერირებს სტუდენტების რეიტინგებს რაც შემდგომ განსაზღვრავს მათ პოზიციას (ადგილს) სიაში;
- საიტის მეშვეობით შესაძლებელია სტატისტიკის წარმოება და ანალიზის მიღება პროფესიების მიხედვით, როგორც დასაქმებულ, ასევე პრაქტიკა-სტაჟირება გავლილ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებზე.

სუდენტების პრაქტიკის კომპონენტის წარმართვა რეგულირდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი“-ს შესაბამისად. პრაქტიკა წარმოადგენს უმაღლესი განათლების კომპონენტს, რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში და აძლევს საშუალებას, მის მიერ მიღებული თეორიული ცოდნა განავითაროს პრაქტიკულ გარემოში. პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება პრაქტიკის პროგრამით (სილაბუსით). პრაქტიკა, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს სასწავლო, გაცნობითი, საწარმოო, ტექნოლოგიური და სხვა სახის.

პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტი. კონკრეტულად ის ასრულებს ფაკულტეტებზე პრაქტიკის ჩატარების ორგანიზაციის მონიტორინგს, ბრძანებების პროექტების შემოწმებას და სხვ.

პრაქტიკის ობიექტი შეიძლება იყოს სტუ-ის სასწავლო, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ცენტრი ან სხვა სტრუქტურული/ორგანიზაციული ერთეული, აგრეთვე სხვა საწარმო/ორგანიზაცია/დაწესებულება (მათ შორის, დამსაქმებელი), რომელსაც აქვს პრაქტიკის ჩატარების სათანადო პირობები და რომელთანაც სტუ-ს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების ოპერატიული მხარდაჭერისა და კონტროლის მიზნით პრაქტიკანტის მიმღები ორგანიზაციის მიერ ხელმძღვანლად (სტუ-ს თანამშრომელთან ერთად) ინიშნება შესაბამისი ორგანიზაციის წარმოადგენელი.

საერთაშორისო მობილობისა და სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობების მხარდასაჭერად საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უშუალო ჩართულობითა და კოორდინირებით უნივერსიტეტში ხორციელდება სხვადასხვა გაცვლითი პროექტები. 2011 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus Mundus-ის პროგრამაში, რომელიც გულისხმობს ბაკალავრების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, ახალგაზრდა მკვლევრების და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ევროპული ქვეყნების სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სამსახურის უშუალო ჩართულობით სტუ-ში განხორციელდა 5 Erasmus Mundus პროექტი (ALRAKIS, BACKIS, TEMPO, INFINITY. ACTIVE).

გაცვლითი პროექტების ფარგლებში განხორციელდა მობილობები როგორც უცხოეთის უნივერსიტეტებში (25 სტუდენტი, 9 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი), ასევე, უცხოეთის უნივერსიტეტებიდან სტუ-ში (5 სტუდენტი, 8 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი).

2015 წლიდან დაიწყო ERASMUS+ ახალი პროგრამა, რომელის ფარგლებშიც სტუ-მ 34-ზე მეტი ახალი პროექტი წარადგინა ევროპის პარტნიორ ინსტიტუციებთან ერთად. დღევანდელი მონაცემებით, 28 პროექტმა (Erasmus+) პირველი აქტივობის (ინდივიდუალური სასწავლო მობილობა) ფარგლებში - საერთაშორისო მობილობა კრედიტების დაგროვებით - International Credit Mobility (ICM), უკვე წარმატებით გაიარა აპლიკაციის ERASMUS+ პროცესი.

28 პროექტის ფარგლებში განხორციელდა მობილობები როგორც უცხოეთის კოორდინატორ უნივერსიტეტებში (84 სტუდენტი, 22 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი), ასევე უცხოეთის უნივერსიტეტებიდან სტუ-ში (2 სტუდენტი, 27 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი).

საგულისხმოა, რომ გაცვლით პროექტებში ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობას ღებულობენ სტუ-ის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტები და ახალგაზრდა მკვლევრები, რომლებსაც საშუალება ეძლევათ გარკვეული პერიოდი გაატარონ სხვა ქვეყანაში, გაეცნონ სწავლების განსხვავებულ მეთოდებს, სხვადასხვა სასწავლო პროგრამებს, აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურული და საგანმანათლებლო გამოცდილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც პროფესიული, ასევე ინდივიდუალური განვითარებისთვის, ენის უნარების ათვისებისა და კულტურული მრავალფეროვნების გაცნობისთვის.

ზემოაღნიშნულ აქტივობებთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სტუ უზრუნველყოფს პროექტების შესახებ სათანადო ინფორმაციის დისიმინაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს და ინფორმაციის განთავსებას სტუ-ის მთავარ ვებ-გვერდსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ვებ-ვერდზე, სტუ-ის სოციალურ მედიაში, ასევე, STUNET სტუ-ის ვიდეოპორტალზე.

საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური პერმანენტულად უზრუნველყოფს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველებსა და დაინტერესებულ პირებს შესაბამისი კონსულტაციებით და აქტიურად ეხმარება მათ განაცხადის წარმართვის პროცესში (მათ შორის ვიზა, საცხოვრებელი პირობები და სხვ. საორგანიზაციო საკითხების ხელშეწყობა). ამასთან დაკავშირებით, სამსახური ხელს უწყობს და ორგანიზებას უკეთებს შესაბამის საინფორმაციო შეხვედრებს.

სტუ უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას სხვადასხვა სასტიპენდიო პროგრამების, საზაფხულო სკოლებისა და საერთაშორისო კვირეულების შესახებ შესაბამისი ინფორმაციით და შემდგომ უკვე, საჭირო კონსულტაციებით.

სტუ ტრადიციულად უზრუნველყოფს დამატებითი (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების - სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობები) წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას, მხარდაჭერას.

ყოველწლიურად ტარდება შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატი სპოტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი; ფუტბალი; ფრენბურთი (ბიჭი, გოგო); ხელბურთი; მიზანში სროლა(ბიჭი, გოგო); ქუჩის კალათბურთი; ქუჩის ფეხბურთი; ჭადრაკი (ბიჭი, გოგო); ჭიდაობა; ბანბიქტონი (ბიჭი, გოგო); მკლავჭიდი; მარათონი (ბიჭი, გოგო); კარტინგი (ბიჭი, გოგო); დარცი (ბიჭი, გოგო).

კულტურული ღონისძიებები :

- თეატრ სტუდია „მოდი ნახე“- ში იდგმება სპექტაკლები, რომელშიც მონაწილეობენ სტუ-ს სტუდენტები;
- იმართება კონცერტები ქორეოგრაფიული ანსამბლი „მერანი“-ს მონაწილეობით;
- ფუნქციონირებს სტუდენტური ანსამბლები - „მედიატორი“ , „სტუმარი“ , გოგონათა ანსამბლი „ქალდეა“, „ქიმერა“ და „ჯაზ ბენდი“;

- წლის განმავლობაში, სააქტო დარბაზში ტარდება კონცერტები სტუ-ის თვითშემოქმედებითი ანსამბლების მონაწილეობით;
- სტუდენტებს შორის ტარდება ვოკალური კონკურსები;
- იმართება იუმორისტული ფესტივალი „მან სან კან“.
- საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სტუდენტებისათვის ეწყობა შემეცნებითი ექსკურსიები.

ინტელექტუალური ღონისძიებები:
- ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო სტუდენტური კონფერენცია;
- სტუდენტებისათვის ტარდება „რა? სად? როდის?“ - ს ჩემპიონატი;
- ეწყობა ესეების კონკურსი;
- განხორციელდა პროექტი „1000 დატრენინგებული სტუდენტი სტუ-ში“
- წერის ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტებისათვის მოეწყო ლიტერატურული კონკურსი “GTU livewriter”

გარდა ზემოაღნიშნულისა სტუ-ში რეგულარულად ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები. მაგალითად:
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის და აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლების შეხვედრა “დისკუსია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ”;
- სამეცნიერი კონფერენცია “საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავი”;
- საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩების, პრეზიდენტის მჩეველის, საქართველოს პარლამენტის დეპუტატების შეხვედრა სტუდენტებთან;
- მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო დელეგაციის წევრთა შეხვედრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტების შეხვედრა ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებთან;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტების შეხვედრა სახელმწიფო მინისტრთან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში;
- ტემპუსის პროექტის ფარგლებში საერთაშორისო ვორკშოპი;
- “სამართლებრივი სახელმწიფო,როგორც სოციალური სახელმწიფო“ - გერმანელი პროფესორის ლექცია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებთან;
- სტუ-ის სტუდენტთა შეხვედრა-დებატები საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარესთან;
- სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა - გრაფიკა, აკვარელი.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილია მასშტაბური სტუდენტური ღონისძიება „სტუ-ის სტუდენტური დღეები 2018 ჯანსაღი ცხოვრებით თავისუფლებისკენ“, რომლის ფარგლებში ჩატარდება სპორტული, კულტურული, ინტელექტუალური, თვითშემოქმედებითი და სხვა ღონიძიებები.

საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციელურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში შეიქმნა საუნივერსიტეტო სტუდენტური ტელევიზია „Stunet tv”. სტუ-ს შიდა მაუწყებლობის შექმნის მიზნით შეიქმნა „მედია ინკუბატორი’’, რომლის მთავარი მიზანიცაა საუნივერსიტეტო სივრცეში არსებული უნიკალური უპირატესობებისა და სხვადასხვა სერვისების შესახებ დამზადდეს სატელევიზიო სიახლეებისა და გადაცემების ციკლი.

ჩამოყალიბდა საუნივერსიტეტო თვითდაფინანსების ცენტრი “IT incubator”- ი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა:
- ვებ აპლიკაცია „GTU tables” (ელექტრონული ცხრილების ,სტუდენტების და პროფესორ მასწავლებლების გამოკითხვის ავტომატიზებული სისტემა.);
- ვებ გვერდი “CVonline.ge”(სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და კომპანიების ელექტრონული კატალოგი);
- ვებ აპლიკაცია “Stunet reporter”.

სტუ-ის გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები. კერძოდ, სტუ-ის „სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის

გაწევის წესი“ განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტისათვის (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესსა და პირობებს.

სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შესაძლებელია გაეწიოს უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს იმ შემთხვევაში თუ იგი მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას:

- რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე;
- არის ობოლი (არ ჰყავს დედ-მამა);
- არის მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრი;
- არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის შვილი;
- ჰყავს ერთი და მეტი შვილი (გარდა დოქტორანტისა);
- ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუ-მენტი მიიღო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ან რომლის სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე, სტუდენტი, რომელიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუ-მენტი მიიღო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსე-ბულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- იმყოფება სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასულია სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

გარდა ზემოაღნიშნული გათვალისწინებული პირობებისა, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შესაძლებელია გაეწიოს უნივერსიტეტის სტუდენტს იმ შემთხვევაში თუ მას აქვს მძიმე ან ქრონიკული დაავადება და პერმანენტულად საჭიროებს მკურნალობას ან თუ სტუდენტს წარმოექმნა ფინანსური სიძნელე და მოცემულ ეტაპზე ვერ ახერხებს სწავლის საფასურის გადახდას. ამ საფუძვლით სტუდენტისათვის ფინანსური შეღავათის გაწევის საკითხის განხილვა ხდება ინდივიდუალურად, ყველა გარემოების შესწავლის, მათ შორის სტუდენტთან გასაუბრების საფუძველზე.

სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათი შესაძლებელია გაეწიოს უნივერსიტეტის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტს, თუ გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში სტუდენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის შუამდგომლობა/რეკომენდაცია.

სტუდენტმა სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის თაობაზე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს და წარადგინოს საშეღავათო პირობების დამადასტურებელი დოკუმენტები. რექტორის გადაწყვეტილებით განცხადება გადაეცემა წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს), აკადემიურ საბჭოს ან შესაბამისი ფაკულტეტის (სკოლის) საბჭოს.

სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), აკადემიური საბჭო ან ფაკულტეტის (სკოლის) საბჭო იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) სწავლის საფასურის გადახდის გადავადება;
ბ) სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდა;
გ) სწავლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება.

სტუდენტის მიმართ სწავლის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის), აკადემიური საბჭოს ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები; 2. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; 3. კარიერული მხარდაჭერის სერვისი; 4. განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები (დასაქმების ფორუმები, სამუშაო შეხვედრები, თემატური კონფერენციები, სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვა.); 5. ფაკულტეტების და პროგრამების მიხედვით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის, მინიჭებული კვალიფიკაციების მიხედვით; 6. კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ (მათ შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით; 7. განხორციელებული სტაჟირებისა და პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია; 8. უსდ-ის დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და შედეგები; 9. სტუდენტთა მონაწილეობის მაჩვენებელი სხვადასხვა პროექტში; 10. სტუდენტებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის ვებ-გვერდის მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; 11. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; 12. „სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესი|“ სტუ-ის წარმომადგნელობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 30 ივნისის №36 დადგენილება; 13. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები • სტუ-ს ყავს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესების მცოდნე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში გამოცდილების თანამშრომლები; • უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ტრადიცია; • უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები მუდმივ მზადყოფნაშია სტუდენტების დახმარებისათვის.
გასაუმჯობესებელი მხარეები • სტუ-ს მართვის პროცესში სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფა; • ახალი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შემუშავება-განვითარება და სტუდენტთა ჩართულობის მასობრიობის უზრუნველყოფა; • უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

6. კვლევა, განვითარებაან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1. კვლევითი საქმიანობა
• უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას; • სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა; • უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
აღწერა და შეფასება სტუ ხელს უწყობს სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებას, თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან და მიზნად ისახავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ და სხვა სახის ინოვაციურ

განვითარებას. სტუ-ის მისიისა და სტრატეგიული გეგმის მიხედვით უნივერსიტეტი ორიენტირებულია ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განვითარებაზე. აღნიშნულის ნათელი მაგალითია სტუ-ში კვლევებისა და ინოვაციური ინდუსტრიის ურთიერთკავშირი, რაც მოიცავს ინოვაციური პროდუქტის შემუშავებას, დამზადებას და ორგანიზაციული მექანიზმების შერწყმას, ტექნოპარკების ან/და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბებაში მონაწილეობას.

სტუ-ს ბაზაზე ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული და რეალიზებულია მრავალი პროდუქტი, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. კომპიუტერით მართვადი გალვანიზაცია-იონოფორეზის ხელსაწყო;
2. მხედველობის ველის დიაგნოსტირების კომპიუტერული პერიმეტრი;
3. კომპიუტერული პერიმეტრი;
4. გეომაგნიტური ქარიშხლების კომპენსაციის სისტემა;
5. SCADA სისტემების სასწავლო ლაბორატორიული სტენდი;
6. მაღალტემპერატურული კერამიკული ზეგამტარი და მის საფუძველზე დამზადებული ოთხკონტაქტიანი გასაზომი ნიმუში;
7. ელექტროჰიდრავლიკური დანადგარი ნანონაწილაკების დასამუშავებლად (ასკორბინის მჟავით შემოგარსული მაგნიტური ნანოსითხე; მაგნიტური ნანონაწილაკების ფხვნილი);
8. მნიშვნელოვანი დოკუმენტების, ფულადი ნიშნებისა და სამრეწველო პროდუქციის პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული დაცვის სისტემა;
9. პოლარიზაციულ–ჰოლოგრაფიული ელემენტები რეალურ დროში პოლარიზებული სინათლის ანალიზისა და გარდაქმნისათვის;
10. ქსოვილური კულტურების in vitro ბიოტექნოლოგიის მეთოდების გამოყენება-დანერგვა სოფლის მეურნეობაში;
11. in vitro კარტოფილის სინჯარის მცენარეების კოლექციის კონსერვაცია;
12. უვირუსო გაკაჟებული კატროფილის მცენარეების ღია გრუნტში გატანის ტექნოლოგიის შემუშავება
13. კაკლის in vitro სანერგე მასალის მიღება;
14. კუთხური გადაადგილების სამკოორდინატული გარდამქმნელი;
15. მრავალშრიან საცავებში ტემპერატურისა და ტენიანობის მართვის ადაპტური მიკროპროცესური სისტემა;
16. სამხედური ინდიკატორის მაკეტი;
17. სიხშირის რეგულატორის მართვის მოწყობილობა;
18. ელექტრული კამერტონი;
19. ხელოვნური ალმასების და სხვა ზესალი მასალების მიღების ტექნოლოგია ზემაღალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში;
20. სხვადასხვა მარკისა და მარცვლოვანების ალმასური ფხვნილები;
21. ალმასური მილისებრი ბურღები - დიამეტრით Φ 12 – 400 მმ ბუნებრივი ქვების, ბეტონის, რკინა–ბეტონის, კერამიკის, მინის და სხვ. მასალების დასამუშავებლად;
22. ალმასური დისკური ხერხები - დიამეტრით Φ 300 – 600 მმ ბუნებრივი ქვების, ბეტონის, რკინა–ბეტონის, ასფალტის, კერამიკის და სხვ. მასალების საჭრელად;
23. სახეხ–საპრიალებელი ალმასური ქარგოლები - დიამეტრით Φ 80 – 400 მმ ბუნებრივი ქვების, ბეტონის, მინის და სხვ. მასალების სახეხ–საპრიალებლად;
24. მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდით კანის და კანქვეშა, საშვილოსნოს ყელისა და სწორი ნაწლავის კიბოს დაავადებების სამკურნალო აპარატურა;
25. 3D სტერეოსკოპული გადასაღები დანადგარი;
26. ფაიფურის ელექტრო იზოლატორი;
27. აბიოდეგრადირებადი პოლიმერები (მიკროსფეროები – ნანონაწილაკები - ნანობოჭკოები – ფოროვანი ფირები);
28. არაფეთქებადი დამანგრეველი მასალები და სპეცცემენტები;
29. თბოსაიზოლაციო ნაკეთობა და ბეტონის შემვსები ენერგოეფექტური მშენებლობისთვის;
30. მაღალი მარკის ანჰიდრიტული მჭიდა მასალები;
31. ჟელეები: ა) ზღვის, ჭაობის, სამკურნალო, მინერალური, ბუნებრივი, ჩამდინარე, ბორჯომის, ლიკანის და სხვა წყლების (სახსრების, კანის და ძვლების მკურნალობისთვის, პარფიუმერიის, მასაჟების,

კოსმეტოლოგიის, ბალნეოლოგიური, სამრეწველო და სხვა დანიშნულებისთვის) ბ) წითელი და თეთრი ღვინის, არყის, ლუდის, ლიმონათის და სხვა სასმელების (საკვები და სამკურნალო მიზნებისთვის); გ) რკინის, თუთიის, სპილენძის, მანგანუმის შემცველი მდინარეების (ნიადაგში მიკრო-ელემენტების შეტანისთვის, აღნიშნული ლითონების და მათი შენადნობების მიღებისთვის); დ) ნებისმიერი სასურველი შედგენილობის ხელოვნური ხსნარების (ნანოტექნოლოგიების განვითარებისთვის);

32. საკვები პროდუქტების ფხვნილები: ა) ციტრუსების (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი); ბ) თხილის, ნიგვზის, წაბლის, ნუშის და სხვა; გ) ბრინჯის, ლობიოს, კარტოფილის, ჭარხლის, სტაფილოს, ხახვის, ნიორის და სხვა; დ) ვაშლის, მსხლის, ატმის, კომშის, ბალის, ალუბლის, ტყემლის, ქლიავის და სხვა; ე) ყველის, სულგუნის, იმერულის და სხვა;
33. სამკურნალო-პროფილაქტიკური კოსმეტიკური საშუალებები ბუნებრივ ნედლეულზე: თმის, კანის და კბილის მოვლის საშუალებები, ლოსიონები, მალამოები (ანტიმიკრობული მოქმედების, დამწვრობის, ჭრილობის, ჩირქოვანი და სოკოს საწინააღმდეგო), ოფლის საწინააღმდეგო საშუალება დამზადებული სოიას ნაყენზე;
34. სწრაფმაგრებადი და მაღალი მარკის ბეტონი;
35. უტყვიო მინის საყოფაცხოვრებო-დეკორატიული ნაწარმი დამზადებული ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე;
36. კიბეზე მავალი სატრანსპორტო საშუალება სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის;
37. ტრამპლინის ტიპის გამჭოლი ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა;
38. საგორი კვალსაჭრელი;
39. ჰექსაბლოკების ნაყარი – წყალსაცავებისა და ზღვის სანაპიროს გარეცხვისაგან დამცავი ნაგებობა;
40. ორიგინალური სისტემის დასაკეცი კოსმოსური რეფლექტორი, ახალი ტიპის ამძრავებით და ასევე საგანგებო სიტუაციებისთვის განკუთვნილი მრავალჯერადი გამოყენების სწრაფად ასაწყობი ხიდების საპილოტე ნიმუშები;
41. სხვადასხვა ანალიზური ხელსაწყოებისა და ავტომატიზირებული საინფორმაციო-გამზომი სისტემების პროექტირება-დამზადება: ელექტროგამტარობის მზომი CEL-1M2 ნებისმიერი ხსნარის კუთრი ელექტრო-გამტარობის გასაზომად; თირკმლის ადგილობრივი ჰიპოთერმიის აპარატი, რომელიც გამოიყენება ქირურგიულ უროლოგიაში; ხსნარებში სხვადასხვა იონების ჟანგვა-აღდგენის პოტენციალის გამზომი აპარატი; PH–მზომი წყალხსნარებში წყალბადის იონების და ჟანგვა-აღდგენის პოტენციალის გასაზომად. გამოიყენება საველე პირობებში; ბუნებრივი აირის გაჟონვის განმსაზღვრელი ხელსაწყო;
42. დგუშ-ცილინდრის ჯგუფის ახალი სქემა მინიმალური დანაკარგებით ხახუნზე. ამ სქემის საფუძველზე შექმნილია მთელი რიგი მაღალი მახასიათებლების მქონე თბური მანქანები;
43. ზესალი და მყიფე, ძნელად დასამუშავებელი არალითონური მასალების პრეზიციული დამუშავების ტექნოლოგია, რომლის საფუძველზე მზადდება სპეციალური სახეხი ჩარხი ჯეიმს მორისის სახელობის ლივერპულის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთად;
44. ბრიკეტების მაფორმირებელი მაღალი წნევის დანადგარი, რომლის საშუალებითაც წარმოებს ყველანაირი ტიპის დაქუცმაცებული ბიომასის გადამუშავება ბრიკეტების დასამზადებლად;
45. მაღალი წნევის ბუნებრივი აირის ბალონების დამზადების ტექნოლოგია ბოჭკოვან პოლიმერული კომპოზიტების გამოყენებით, რომლის საფუძველზე მიმდინარეობს სამუშაოები უფრო დიდი - 200 ლიტრის მოცულობის ბალონების შექმნისათვის;
46. მერქნული მასალების დამამზადებელი და დამამუშავებელი ახალი ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, ჩარხ-დანადგარები;
47. რეზერვუარში წყლის დონისა და ტემპერატურის რეგულირების სისტემა წყლის გაუსნებოვნების ახალი ტექნოლოგიის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის;
48. ელექტროენერგიის უსადენოდ გადაცემის სისტემა;
49. ელექტრო ენერგიის შორ მანძილზე გადაცემის სისტემა;
50. ელექტრომაგნიტურ რეზონანსის პრინციპზე მომუშავე მაცივარი;
51. აეროდინამიკური რობოტი;
52. ლუმინესცენციური და ლედ ნათურების მოდიფიცირებული მართვის სქემა;
53. მიკროპროცესორული იონომეტრული ხელსაწყო გრაფიკული დისპლეის ბაზაზე ქართულენოვანი ინტერფეისით.

სტუ-ში კვლევების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო კვლევები, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს;

კვლევები, რომელიც საგრანტო პოლიტიკას ეფუძნება და მოიცავს შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდიდან და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებიდან დაფინანსებას, შიდა საუნივერსიტეტო და დოქტორანტების მიერ მოპოვებული გრანტები. 2013 წლიდან დღემდე სტუ-ს მიღებული აქვს 200-ზე მეტი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტი.

სტუ-ში რამოდენიმე ათეული საერთაშორისო გრანტია განხორციელებული, ამ გრანტის ფარგლებში საერთაშორისო კონსორციუმებია ჩამოყალიბებული და ერთად ხორციელდება კვლევები საერთაშორისო გრანტებში, კონსორციუმის წევრებია: კრენფილდის უნივერსიტეტი - ინგლისი; პირეუსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი - საბერძნეთი, შპს. „ინტელიგენცია“, კონსულტანტები - ბელგია; საფრანგეთი (გრენობლის აკადემია); პორტუგალიის პრომოუტერის ქვეყანა (ესპანეთის უნივერსიტეტი); საქართველო პარტნიორი ქვეყანა მოლდოვა - მოლდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აზერბაიჯანი აზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტი; რუმინეთი - იასის უნივერსიტეტი; საბერძნეთი - აგრარული უნივერსიტეტი; იტალია - რომის Uninetown University; ესპანეთი - Girona University; ბულგარეთი - პლოვდივის აგრარული უნივერსიტეტი;შვედეთი- სტოკჰოლმის უნივერსიტეტი;უკრაინა - ტარას შევჩენკოს უნივერსიტეტი;გერმანია - "Steinbeis Innovation gGmbH, SIG" კოორდინატორი; რუმინეთი - კლუჟ-ნოფოკის ტექნიკური უნივერსიტეტი; სლოვაკეთი - სლოვაკეთის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტი ნიტრაში; უკრაინა - NTUU KPI; PEWI; NIP უკრაინა; ბელარუსი - BSATU;და სხვ.

უნივერსიტეტის კვლევით სტრუქტურულ ერთეულებს, ფაკულტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს ფართო სამეცნიერო და საგანმანათლებლო კავშირები გააჩნიათ საქართველოსა და უცხოეთში. სტუ-ის სასწავლო-სამეცნიერო და ექსპერტიზის ცენტრები და შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი მნიშვნელოვან დაკვეთებს იღებენ საქართველოსა და უცხოეთის ეკონომიური აგენტებისგან. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიღებულია 900-ზე მეტი შეკვეთა, რომელმაც 3 მილიონ ლარს გადააჭარბა და მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის შეკვეთებს გააჩნია მზარდი ტენდენცია.

სტუ თანამშრომლობს უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებთანაც გაფორმებულია 200-ზე მეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

გარდა ზემოაღნიშნული აქტივობებისა, სტუ-ის აკადემიური-სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოფების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში.

სტუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ნაშრომებს აქვეყნებს, როგორც საუნივერსიტეტო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, ასევე უცხოურ მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო პერიოდიკაში. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ბაზა ფაკულტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტივობების შესახებ, რომელიც მოიცავს მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძღვანელოების, საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული ნაშრომების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, საქართველოსა და უცხოეთში რეგისტრირებული გამოგონებების, სტუ-ის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების და სხვა სახის ინფორმაციას. ასევე, ზემოაღნიშნული ბაზა http://science.gtu.ge/ ფაკულტეტების და კვლევითი დაწესებულებების მიხედვით სტატისტიკურ მონაცემებს.

სტუ-ს აქვს დარგობრივი ჟურნალები, რომელთა დამფუძნელებად ფაკულტეტები ან კვლევითი ინსტიტუციებია, ხოლო ორ ჟურნალს „სტუ-ის შრომები“ და „ქართული ელექტრონული ჟურნალი“ აქვს ციტირების ინდექსი.

სტუ-ში სადისერტაციო საბჭოს და დოქტორატურის დებულებით განსაზღვრულია სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილია საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები. ამ პროცესში მონაწილეობს მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტები, აგრეთვე, არიან ცნობილი მეცნიერები კვლევითი ორგანიზაციებიდან.

სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოქტორანტურის დებულებაში მოცემულია დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლებები, მოვალეობები და ფუნქციები. პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომების ეფექტურ და ხარისხიან ხელმძღვანელობას, ნაშრომებისა და პროექტების მაღალ ხარისხს. სტუ-ის დებულებისა და შიდა მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესორი, როგორც წესი შეიძლება ერთდროულად იყოს არაუმეტეს ოთხი დოქტორანტის ხელმძღვანელი. ასოცირებული პროფესორი, ემერიტუსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი შეიძლება იყოს არაუმეტეს ორი დოქტორანტის ხელმძღვანელი, მათ შორის სწავლების ერთ წელზე არაუმეტეს 1 დოქტორანტისა.

სტუ-ის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა დანართის სახით წარმოდგენილია ფაკულტეტების მიხედვით. უნივერსიტეტის მასშტაბით დოქტორანტების შეფარდება ხემძღვანელების რაოდენობასთან 2,16-ის ტოლია, ე.ი. ერთ ხელმძღვანელზე საშუალოდ მოდის ორი დოქტორანტი.

სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით მოცემულია დანართის სახით, სადაც 2008 წლიდან 2014 წლის ჩათვლით დოქტურანტურაში ჩაბარების რაოდენობაა წარმოდგენილი. უნივერსიტეტის მასშტაბით (ამ პერიოდში უნივერსიტეტში იყო 8 ფაკულტეტი) შვიდი წლის განმავლობაში დოქტორანტების ჯამური რაოდენობაა 2498 დოქტორანტი. თითო ფაკულტეტზე დოქტორანტთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 312 დოქტორანტი, ხოლო ერთ წელზე ჩარიცხულ დოქტორანტთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელია 44 დოქტორანტი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩარიცხულ დოქტორანტთა რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული. ჩარიცხულ დოქტორანტთა რაოდენობაზე გავლენას ახდენს შესაბამისი ფაკულტეტის ბაკალავრთა და მაგისტრთა რაოდენობა. 2008-2014 წლებში ჩარიცხულ დოქტორანტებთან მიმართებით დაცულთა ჯამური რაოდენობაა - 1232. ამ შეფასებებიდან თვალნათლივ ჩანს დოქტორანტურაში ჩარიცხულთა საერთო რაოდენობიდან, დაცვების საშუალო მაჩვენებელი 50%-ის ფარგლებშია.

სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის შესაფასებლად ჩატარებულია დოქტორანტების გამოკითხვა სადოქტორო პროგრამების მიხედვით. სულ კვლევა ჩატარებულია 43 პროგრამაზე, გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობა ჯამურად 698 დოქტორანტია. კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, ხელმძღვანელობის ეფექტურობით კმაყოფილია დოქტორანტების 56%, მეტ-ნაკლებად კმაყოფილია - 29% და უკმაყოფილოა 15%.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „საჯაროსამართლისიურიდიულიპირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნბრძანება. http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php;
2. უსდ-ს მისია;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის № 01-05-04/69 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი);
4. უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობა http://science.gtu.ge/;
5. საერთაშორისო და ადგილობრივ დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები;
6. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 3 და 7 წლიანი გეგმები;
7. სტუ-ის წლიური ანგარიშები;
8. მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი პროექტები;
9. სამეცნიერო ანგარიშების ანოტაციები;
10. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილება „სტუ-ის დოქტორანტურის დებულება“;
11. სტუ-ის 2017 წლის 27 თებერვლის №2324 „საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება“;
12. შესაბამისი გამოცემები, ჟურნალების ანოტაციები;
13. ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა;
14. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები დანართის სახით;
15. „საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესის შესახებ“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 მარტის №2356 დადგენილება;

16. ბოლო 5 წლის დოქტორანტების და 2 წლის მაგისტრანტების სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი
17. 200-ზე მეტი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტი;
18. დოქტორანტების გრანტები;
19. სტუ-ის სამეცნიერო კონფერენციები;
20. საბიუჯეტო პროექტების შესახებ ინფორმაცია;
21. სტუ-ში რეალიზებული მზა პროდუქტები.;
22. გამოფენებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია;
23. სტუ-ის მონოგრაფიები - http://publishhouse.gtu.ge/ge/cat/mono;
24. სახელმძღვანელოები -http://publishhouse.gtu.ge/ge/cat/books;
25. დამხმარე სახელმძღვანელოები - http://publishhouse.gtu.ge/ge/cat/other
26. „ხემძღვანელების და დოქტორანტების თანაფარდობა 2015-2016“ და „ხემძღვანელების და დოქტორანტების თანაფარდობა 2016-2017“;
27. შიდა საუნივერსიტეტო გრანტები http://gtu.ge/Science/research/Internal_university_grants.php;
28. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტები წლების მიხედვით http://gtu.ge/Science/research/Rustaveli_Foundation/shota_rustavelis_grantebi_wlebis_mixedvit.php;
29. სამეცნიერო და აკადემიური გრანტები http://gtu.ge/Science/research/Scientific_academic_grants_received_from_abroad.php;
30. სტუ-ის შრომათა კრებულები - ანოტაციები;
31. სტუ-ის ორიგინალური პროექტები და კვლევები - http://gtu.ge/Science/research/original_projects_and_research.php;
32. კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სამეცნიერო ანგარიშები http://gtu.ge/Science/research/Research_institutes_faculty_scientific_reports.php;
33. სტუ-ის საგრანტო პროექტები ანოტაციები;
34. სტუ-ის მონოგრაფიები - ანოტაციები;
35. სტუ-ის სახელმძღვანელოები - ანოტაციები;
36. სტუ-ის პერსონალის 2017 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები;
37. ხელმძღვანელის და დოქტორანტის თანაფარდობა;
38. სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა;
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში;
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

აღწერა და შეფასება

სტუ-ის კვლევის და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია მისიაში, წესდებაში, განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

სტუ-ის ბიუჯეტში კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსება მოიცავს: შიდა საუნივერსიტეტო გრანტების (2012-2017 წწ, შეადგენდა 2. 367 932 ლარს), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, სტუ-ის გამარჯვებული პროექტის თანადაფინანსებას (2012-2017 წწ შეადგენდა 1.273 654 ლარს) და საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელმწიფო დაკვეთებს (2013-2017წწ. შეადგენდა 18. 574073 ლარს).

სტუ-ში არსებობს კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები. კერძოდ, წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აპრილის №2 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული „საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესის“ მიხედვით უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო მოღვაწეობის სტიმულირებისა და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით გამოიყენება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და სხვა საფინანსო

წყაროებიდან მოზიდული სახსრები.

ზემოაღნიშნული წესის მიზანია სტუ-ში სამეცნიერო პოტენციალისა და კვლევების ხარისხის, თანამშრომელთა და სტუდენტთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამაღლების, მეცნიერების განვითარებისა და მისი კომერციალიზაციის ხელშეწყობა. პროექტის წარდგენა შეუძლია უნივერსიტეტის და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თანამშრომელს. განმახორციელებელი ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის თანამშრომელი და სტუდენტი. პროექტების განხორციელებას ყოველწლიურად აფინანსებს უნივერსიტეტი ან ფაკულტეტი საკუთარი ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, პროექტები შესაძლებელია დაფინანსდეს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროდან. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა ხდება კონკურსის საფუძველზე, რომელსაც ატარებს საკონკურსო კომისია. პროექტების შეფასება ხდება დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები უშუალოდ დაკავშირებულია პროექტების ხარისხთან და კომისიას მათი ობიექტური შეფასებისთვის უნდა ჰქონდეს აუცილებელი ინფორმაცია. საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებული ნომინანტების გამოვლენის შემდეგ შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სტუ-ს პროექტების ანალიზის და რანჟირების ინტელექტუალური სისტემა ახდენს საგრანტო პროექტების რანჟირებას, როგორც გრანტების გაცემის, ასევე გრანტის შედეგების შეფასების ეტაპზე. საკონკურსო-საგრანტო პროექტები შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სტუ-ს ვებ-გვერდზე. სისტემა იმყოფება ტესტირების რეჟიმში პრაქტიკაში დასანერგად და გრანტების შეფასების ხარისხის ასამაღლებლად.

ზემოაღნიშნული წესის მიხედვით შექმნილი პროდუქტი პროექტის ავტორების და უნივერსიტეტის ერთობლივი საკუთრებაა. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო, საერთაშორისო და სხვა კონკურსებში უნივერსიტეტის სახელით წარსადგენი საპროექტო წინადადებების განხილვას უზრუნველყოფს ამ წესის მიხედვით შექმნილი კომისია.
ანალიზის მიხედვით, სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტებისათვის კვლევების მხარდამჭერ მექანიზმებს წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საინფორმაციო, საკადრო და საფინანსო გარემო.

სტუ-ის ცენტრალური და საფაკულტეტო ბიბლიოთეკა იძლევა შესაძლებლობას უნივერსიტეტის პერსონალმა და სტუდენტებმა ისარგებლონ ბიბლიოთეკაში დაცული დარგობრივი, საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებით და მონოგრაფიებით.ბიბლიოთეკა სისტემატურად ივსება სამეცნიერო პუბლიკაციებით, მონოგრაფიებით და სახელმძღვანელოებით.

სტუ აქტიურადაა ჩართული ახალგაზრდა კადრების მოზიდვაში, აგრეთვე ხელს უწყობს მათ ჩართულობას საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო პროგრამებში, ერთობლივი პროექტების წარმატებულად მომზადებასა და განხორციელებაში.

სტუ-ის პარტნიორი ორგანიზაციების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. იზრდება და ფართოვდება მათთან თანამშრომლობის დიაპაზონიც, იქნება ეს სტუდენტებისა თუ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ერთობლივ სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობა, ერთობლივი სასწავლო პროგრამების შემუშავება, თუ სხვა მსგავსი აქტივობები.

- 2015 წლიდან დაიწყო ახალი პროგრამები Horizon 2020 (მანამდე არსებული FP7 შესაბამისად) და ERASMUS+
- Erasmus Mundus, Erasmus+ გაცვლით პროექტებში სტუ-ის სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად, მონაწილეობას იღებენ პროფესორ-მასწავლებლებიც, რომლებსაც საშუალება ეძლევათ პროგრამის ფარგლებში ჩაატარონ ლექცია - სემინარები პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აიმაღლონ კვალიფიკაცია, მიიღონ გამოცდილება და თავისი წვლილი შეიტანონ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში.
- სტუ-ში, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ლექციების წასაკითხად მოწვეულ იყვნენ უცხოელი პროფესორები მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან (43 პროფესორი: აშშ, გერმანია, ავსტრია, იტალია, ნიდერლანდები, კანადა, შვეიცარია, პოლონეთი, პორტუგალია).
- სტუ აქტიურად მონაწილეობს Tempus პროგრამაში, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში, რომელიც

გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და სხვა.

- სტუ - ში განხორციელდა Tempus პროგრამის 15 პროექტი.
- სტუ მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ FP7 პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს კვლევების მხარდაჭერას. უნივერსიტეტში განხორციელდა კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო-პროგრამის 6 პროექტი.
- უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ERASMUS+ აპლიკაციის პროცესი და ამჟამად ხორციელდება Erasmus+ KA2 აქტივობის საგრანტო ინსტიტუციური განვითარების 3 პროექტი და საკონკურსოდ წარდგენილია 13 პროექტი.

სტუ-ს პარტნიორული ურთიერთობები აქვთ მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევით ორგანიზაციებთან. გაფორმებული აქვს 200-ზე მეტი მემორანდუმი ადგილობრივ და საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის, როგორც აშშ და ევროპის, ასევე, აზიის ქვეყნების ინსტიტუციებთან.

სტუ უზრუნველყოფს პროექტების შესახებ ინფორმაციის განთავსებას სტუ-ის ვებვერდზე, სოციალურ მედიაში და STUNET ვიდეოპორტალზე.

უნივერსიტეტი კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, ხელს უწყობს უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა, სემინარებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას და გაშუქებას.

სტუ გაწევრიანებულია Thomson Reuters-ის საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში „Web of Science", რაც საშუალებას მისცემს აკადემიურ, სამეცნიერო პერსონალს და სტუდენტებს ასეულობით მაღალრეიტინგული გამოცემების გამოყენების შესაძლებლობას. ქსელი, ასევე იძლევა ნაშრომების ავტორებთან კავშირის დამყარების შესაძლებლობას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების გასაძლიერებლად.

მაღალი სტანდარტის კვლევისა და სწავლების განხორციელებისათვის სტუ-ში დაგეგმილია ახალი ორგანიზაციული ერთეულების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინსტიტუციური ქსელების ჩამოყალიბებას, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ჩამოყალიბდება ახალი ორგანიზაციული ერთეულები - სადოქტორო და სამაგისტრო ფაზის ფაკულტეტთაშორისი საუნივერსიტეტო სტრუქტურები (გრადუირებულთა სკოლები და კოლეგიები). მაღალრეიტინგულ მკვლევართა ჯგუფები - „ექსელენს კლასტერები" (Excellent Cluster) და ცოდნის ტრანსფერის ხელშემწყობი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს კვლევის ახალი თემების იდენტიფიკაციას, მათ სისტემურ ხელშეწყობას და გაძლიერებას. აგრეთვე, გათვალისწინებულია ტრადიციული ორგანიზაციული ერთეულების (ფაკულტეტი, დარგობრივი დეპარტამენტი, სხვადასხვა ტიპის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვ.) მოდერნიზაცია და გაძლიერება, რადგან დარგობრივი და თემატური განვითარების მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია უსდ-ბის გამართული ფუნქციონირებისათვის, სწორედ ამ სტრუქტურებში ხორციელდება. იმავდროულად, ტრადიციული სტრუქტურები მაქსიმალურად პოზიტიურად უნდა თანამშრომლობდნენ ახალ სტრუქტურებთან, რაც მეცნიერების განვითარების კომპლექსურობისა და დინამიკურობის წინაპირობაა. ასე რომ, მატრიცული ორგანიზაციის სხვადასხვა დონე და ვარიანტები თანამედროვე უნივერსიტეტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

რობოტებისა და ავტომატიზებული მანქანების სამართავად მიმდინარეობს erasmus + - ის პროექტი, სადაც საქართველოსთან ერთად მონაწილეობს იტალია და ბულგარეთი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გაიხსნას რობოტექსის ჯგუფი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მოსწავლეთა საინჟინრო აკადემია, ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრი „ერთად", „სტუდენტური სერვის ცენტრი". ზემოაღნიშნული სერვისი ხელს უწყობს ახალგაზრდების კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას და უღვივებს კვლევაში ჩართვის ინტერესს. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა შემოქმედებით საქმიანობას. სტუ-ს ორგანიზებით სტუდენტების მიერ შესრულებულია ათეულობით კვლევითი და სხვა სახის შემოქმედებითი პროექტი.

მოსწავლეთა საინჟინრო აკადემიის წევრების მიერ შესრულებულია არაერთი წარმატებული საინჟინრო პროექტი, რომლებმაც დიდი აღიარება მოიპოვეს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონკურსებში.

სტუ-ში ატლასის პროექტის განსახორციელებლად ფუნქციონირებს ბირთვული კვლევების ცენტრი (CERN, შვეიცარია). ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტსა (დუბნა, რუსეთი) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა „მრავალპროფილიანი NICA-MPD დეტექტორის ტრანსპორტირების სისტემის გაანგარიშების და დაპროექტების სამეცნიერო საკონტრუქტორო სამუშაო“.

სტუ მრავალი საერთაშორისო ქსელისა თუ ასოციაციის წევრია, მათ შორისაა ევროპული უნივერსიტეტეტების ასოციაცია (EUA), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (ITU), შავი ზღვის უნივერსიტეტთა ქსელი (BSUN), ამერიკული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ასოციაცია (AAC&U) და სხვ.

სტუ-ს წარმატებული პარტნიორული ურთიერთობები აქვს მსოფლიოს ისეთ წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევით ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: იაპონიის მაღალი ენერგიების ამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაცია - KEK, გერმანიის იულიხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, CERN - ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია (შვეიცარია), ბირთვული კვლევების ერთობლივი ინსტიტუტი - JINR (დუბნა, რუსეთი), იტალიის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი -INFN და სხვ.

სტუ-სა და CMS (LHC, CERN) შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში წარმატებით განხორციელდა ოთხი ერთობლივი პროექტი. ამასთან, სტუ მონაწილეობს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს” პროექტში, რომლის ფარგლებშიც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან შემდგარი კონსორციუმი საქართველოში ბაკალავრიატის სამ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებ. ასევე, სტუ-ში ხორციელდება ABET აკრედიტებული ბაკალავრიატის ორი საგანმანათლებლო პროგრამა: სამოქალაქო ინჟინერია და სამშენებლო ინჟინერია.

სტუ-ში მიმდინარეობს საერთაშორისო აკრედიტაციის „ABET“ სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფაკულტეტებზე.

სტუ-სა და აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტს (აშშ) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში უნივერსიტეტები ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, მათ შორისაა საერთაშორისო საინფორმაციო ფონდის, USAID და ნატოს მიერ დაფინანსებული პროექტები. აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტში ხორციელდება მეცხოველეობის, აგრონომიისა და ნიადაგისა და წყლის ინჟინერიის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია აიოვას უნივერსიტეტში არსებული პროგრამების დანერგვა პარტნიორობის ფარგლებში, აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ტექნიკურ უნივერსიტეტში მოწვეულნი იყვნენ უცხოელი კოლეგები.

2015 წლიდან ვილდაუს, ფლენსბურგისა და ბრანდენბურგის უნივერსიტეტები და სტუ-ს ლოჯისტიკის დეპარტამენტი ახორციელებენ ლოგისტიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას.

საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის ფარგლებში სტუ თანამშრომლობს გერმანიის იულიხის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან. თანამშრომლობის მიზანია გამოცდილების გაზიარების გზით ხელი შეუწყოს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების ჩართულობას მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მათ შორის, იულიხის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტებში. 2012-2015 წლებში გამოცხადდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდისა და იულიხის ცენტრის საგრანტო კონკურსი, რომელშიც გამარჯვებულმა სტუ-ს მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა კვლევები ჩაატარეს იულიხში. 2010-2017 წწ. იულიხის კვლევით ცენტრში სტაჟირება გაიარა სტუ-ის 49 სტუდენტმა. ცენტრის ნეირომედიცინისა და მედიცინის ინსტიტუტის მხარდაჭერით სტუ-ში ხორციელდება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა "სამედიცინო ფიზიკა".

სტუ ა.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებს ერთობლივ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „ბიოსამედიცინო ინჟინერია“, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის TEMPUS-ის პროექტის - BME-ENA Biomedical EngineeringEducation Tempus Initiative in Easten Neighboring Area (Project number:543904-TEMPUS-1-2013-1-GR-TEMPUS-JPCR) ფარგლებში. პროექტის ფარგლებში გაუმჯობესებულია ლაბორატორიული ბაზა სათანადო ტექნიკით. პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და საგანმანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით № 125, 25.08.2016 წ. მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

სტუ-ში საერთაშორისო პროგრამის „შემოდგომის ლექციები თბილისში“, ფარგლებში 2013 და 2015 წლებში „შემოდგომის ლექციები თბილისში-1“ და „შემოდგომის ლექციები თბილისში-2“, უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ იტალიისა და გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ლექციებს კითხულობდნენ იულიხის კვლევითი ცენტრის პროფესორ-მასწავლებლები. ხელშეკრულების ფარგლებში იულიხის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა სტუ-ს ლაბორატორიას გადასცა ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების კვლევითი პროექტების წარმართვას.

ქართულ-ბელორუსული კომპანიების თანამშრომლობით, საქართველოში პირველად, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამგზავრო და სატვირთო ლიფტების წარმოება სტუ-ს სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის ბაზაზე დაიწყება.

თანდართული დანართების სახით მოცემულია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი. ასევე, თვითშეფასების ანგარიშს დანართის სახით თან ერთვის მონაცემები უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აპრილის №2 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული „საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესი“;
2. უნივერსიტეტის მისია;
3. უნივერსიტეტის წესდება;
4. უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
5. სტუ-ის ბიუჯეტი;
6. უსდ -ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
7. ინტერნალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია;
8. „საგრანტო ნომინაციის საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აპრილის №2 დადგენილება;
9. ბიუჯეტში გათვალისწინებული კვლევების, განვითარებისა და შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის დაფინანსების დინამიკაა ბოლო 5 წლის განმავლობაში
10. კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები;
11. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და ჩართვა;
12. ახალგაზრდა მკვლევრების (მაგისტრანტები, დოქტორანტები, ინიციატივები, რომლებიც მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მიერ;
13. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
14. ერთობლივი კვლევითი/სახელოვნებო შემოქმედებითი აქტივობები საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;
15. ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან;
16. პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო- შემოქმედებით აქტივობებში;
17. ერთობლივი პროგრამები ან მათ განსახორციელებლად პარტნიორების მოპოვების სამოქმედო გეგმა;
18. უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის სტატისტიკა;
19. სტუ-ის სტუდენტური კონფერენციები წლების მიხედვით;
20. საერთაშორისო პროექტი რობოტებისა და ავტომატიზებული მანქანების სამართავად;
21. მოსწავლეთა საინჟინრო აკადემიის დებულება;

22. სტუ-ის „ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენთთა ინოვაციური საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრი - ერთად“ ცენტრის დებულება;
23. სტუ-ის სტუდენტური სერვის ცენტრი;
24. თბილისის ღია ჩემპიონატი კომპიუტერულ სპორტში (მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი) - GameFest 2017 - ფესტივალი;
25. სტუდენტური კონფერენციების კრებულები;
26. სტუ-ის კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების საერთაშორისო კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან;
27. ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის, „ატლასის“ პროექტი;
28. კონსორციუმები;
29. განზრახულობათა ოქმი ლიფტების ერთობლივი საამწყობო წარმოების შექმნის შესახებ საქართველოში (საქართველოდან სტუ და ბელორუსიდან „მოგილიოვლიფტმაშს“);
30. ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ერთეულებთან;
31. სტუ-ის ხელშეკრეულებები საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
32. ხელშეკრულებები საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან;
33. საერთაშორისო ურთიერთობის ხაზით სტუდენტთა წარმატებები კონკურსებსა და სხვა აქტივობებში;
34. ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ან მათ განსახორციელებლად პარტნიორების მოპოვების სამოქმედო გეგმა
35. უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახემძღვანელობის სტატისტიკა, სტუდენტების სერტიფიკატები.

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- უსდ-ს გააჩნიაკვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

აღწერა და შეფასება

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კვლევითი საქმიანობის ხარისხის გარე შეფასებას ახორციელებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომელიც ყოველწლიურად განიხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშებს და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. იგი უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერების განვითარების ფონდებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სტუ ყოველწლიურად წარადგენს კვლევითი საქმიანობის ანგარიშებს.

2014 წლის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშების შეფასების შედეგების მიხედვით სტუ-ს 69 სტრუქტურული ერთეულიდან წარდგენილი ანგარიშებიდან უმაღლესი შეფასება მიიღო 19-მა, დამაკმაყოფილებელი 49, უარყოფითი - არცერთმა. 2015 წელს შეფასების მაჩვენებელი გაცილებით გაუმჯობესდა და უმაღლესი შეფასება მიიღო 33-მა, დამაკმაყოფილებელი - 35-მა, ხოლო უარყოფითი - არცერთმა; 2016 წელს რანჟირების სისტემა შეიცვალა და შესაბამისად, უმაღლესი შეფასება მიიღო 22-მა, კარგი - 25-მა, დამაკმაყოფილებელი - 22-მა, ხოლო უარყოფითი- არცერთმა.

სტუ-ის კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების ანგარიშები, მოცემულია დანართის სახით და განთავსებულია ვებ-გვერდზე http://gtu.ge/Science/research/Research_institutes_faculty_scientific_reports.php

სტუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის შეფასების სისტემა მოიცავს: გამოქვეყნებულ ნაშრომებს; მიღებულ პატენტებს, ჯილდოებს და სხვ.; ციტირების ინდექსს სხვადასხვა სისტემებით (Scopusc index, Scopus h index, Google Scholar c index და Google Scholar h index); გრანტებს; პროექტებს; საერთაშორისო კონფერენციებს, ვორქშოპებს, ტრენინგებს და სხვ.

კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის სტუ ახორციელებს შეფასების შედეგების ანალიზს,

ასახავს კვლევითი შედეგების პერსპექტივებსა და მათი შემდგომი განვითარების გეგმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგრანტო ნომინაციის (უნივერსიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული გრანტი) საპროექტო წინადადებების წარდგენის, განხილვისა და შეფასების წესი;
2. საუნივერსიტეტო გრანტის რეგულაციის მექანიზმები;
3. გრანტის შეფასების (გრანტის გაცემის ეტაპი) და დასვნითი შედეგების შეფასების დამხმარე მათემატიკური მოდელი და შესაბამისი პროგრამული პროდუქტი;
4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის დებულება;
5. სტუ-ის სტრუქტურული ერთეულების ფაკულტეტების (დეპარტამენტების), კვლევითი ინსტიტუციების წლიური ანგარიშები;
6. სტუ-ის კვლევითი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის ციტირების მაჩვენებლები (განხილულია ოთხი სისტემით პერსონალის ციტირების გამოკვლევა);
7. ფაკულტეტების და კვლევითი ინსტიტუციების ჯამური აქტივობები;
8. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები;
9. საერთაშორისო გრანტები;
10. სტუ-ის შიდა საუნივერსიტეტო გრანტები;
11. საგრანტო პროექტების ანოტაციები;
12. შიდა საუნივერსიტეტო გრანტების ანგარიშები - http://gtu.ge/Science/research/Internal_university_grants.php;
13. კვლევითი ინსტიტუტების შედეგების მოკლე ანოტაციები;
14. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული კომერციული ღირებულების მქონე დასრულებული მზა პროდუქტები;
15. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საერთაშორისო გრანტების, შიგა საუნივერსიტეტო გრანტების და კომერციული ღირებულების მქონე პროექტების შედეგების ანალიზი.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები

- უნივერსიტეტი განუწყვეტლივ ზრუნავს კვლევითი პოტენციალის ამაღლებაზე და შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგია, რომელიც ეხმიანება მეცნიერების თანამედროვე ტენდენციებს;
- კვლევების განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია ინსტიტუციური განვითარების პოტენციალი და გამოწვევებზე რეაგირების მოქნილი მექანიზმები;
- სტუ-ს გააჩნია ორი მნიშვნელოვანი საწარმოო ბაზა (სამეცნიერო კვლევითი გაერთიანება - „ანალიზხელსაწყო“ და ვაზიანის საწარმოო ბაზა - გარდაბნის რაიონი), რომელიც ხელს უწყობს საკუთარი ინოვაციური პროდუქციის შექმნას და ბაზრისათვის აქტუალური პროდუქციის სერიულ წარმოებას;
- კვლევების დასაფინანსებლად და კვლევით საქმიანობის მხარდამჭერად საჯარო და გამჭირვალე სისტემა;
- კვლევების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო გრანტებსა და პროექტებში აქტიურად ჩართულობა;
- ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან და მათ შორის ევროპის და აშშ-ს აღიარებულ კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- სტუ არის “ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს” პროექტის ბაზაზე შექმნილი კონსორციუმის წევრი სადაც აშშ-ს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა (SDSU) და საქართველოს სამ უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს;
- სტუ-ში ხელმოწერილია მარვალი მემორანდუმი ადგილობრივ და უცხოურ უმაღლეს საგანმანათებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის აშშ-ს, ევროპის და აზიის უსდ-ებთან;
- სტუ-ში რეალიზებულია Erasmus Mundus-ის ხუთი პროექტი (ALRAKIS, BACKIS, TEMPO, INFINITY, ACTIV);
- სტუ-დან ყოველწლიურად, მობილობით, უცხოეთში საშუალოდ 20-მდე აპლიკანტი მიემგზავრება გაცვლითი პროგრამების ფორმატით;

- სტუ-ში ხორციელდება ტემპუსის 3 პროექტი;
- სტუ-მ 2015 წლიდან დაიწყო ახალი პრორამები Horizon 2020 da ERASMUS+.

გასაუმჯობესებელი მხარეები

- უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების მიზნით ადგილობრივ და მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კოლაბორაციის განვითარება;
- ცოდნის ტრანსფერის მიზნით სათანადო სტრუქტურების შექმნა, რომელთა მთავარი პარტნიორები იქნებიან სამეწარმეო კომპანიები, რაც ნიშნავს საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის განვითარებას და შესაბამისად სამეწარმეო პროექტების განვითარების აკადემიურ უზრუნველყოფას. დარგობრივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტის საერთაშორისო ქსელში გაწევრიანება;
- უნივერსიტეტში სამეცნიერო სამუშაოების აღრიცხვიანობის მოწესრიგება და სათანადო საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- ტექნოლოგიაში, მეცნიერებასა და ინჟინერიაში ინოვაციური პროექტების დაპატენტების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;
- ახალი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შემუშავება-განვითარება და სტუდენტთა ჩართულობის მასობრიობის უზრუნველყოფა;
- ახალი სამიზნე პარტნიორების შერჩევა;
- საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

7.1. მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება და წესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას;
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა;
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა;
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

აღწერა და შეფასება

სტუ-ის საკუთრებაში აქვს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 212 848.6მ2 ფართის შენობა-ნაგებობები. შენობების აზომვითი ნახაზების მიხედვით სასწავლო ფართის საერთო ოდენობა 104 699.9 მ2-ს, ხოლო საერთო დამხმარე ფართის ოდენობა 108 148.7 მ2-ს შეადგენს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კაბინეტები, სპორტდარბაზები სრულად აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, როგორიცაა მერხები, მაგიდები, დაფები, ლაბორატორიული და სხვა ხელსაწყო-დანადგარები, ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვ. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სულ არსებული მატერიალური რესურსის ჯამური ღირებულება 13888899,7 ლარს შეადგენს

არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ნივთები) სრულად ემსახურება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს და არსებულ და დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის აღწერა თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, შახტები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა, შესაბამისი მარაგები (რეაქტივები, სასწავლო მასალები და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუ დამოუკიდებლად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო რესურს.

არსებული შენობების მოვლის მიზნით ხორციელდება მუდმივი კონტროლი. დღეის მდგომარეობით შენობებს კონსტრუქციული მდგრადობის პრობლემები არ გააჩნია. რაც შეეხება შიდა რემონტებს, მეტწილად მდგომარება კარგია, არსებობს ფართები რომლის მდგომარეობაც გასაუმჯობესებელია, რისთვისაც უნივერსიტეტი ხარჯავს ყოველწლიურად რამოდენიმე მილიონს და 2021 წლის მდგომარეობით აღნიშნული საკითხები იქნება დასრულებული, რაც დეტალურადაა გაწერილი სტუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

სტუ-ის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის გააჩნია საჭირო გარემო:

ბუნებრივი (ფანჯრებით) და ხელოვნური განათებით უზრუნველყოფილია ყველა სასწავლო აუდიტორია და ლაბორატორია, გარდა შახტა-ლაბორატორიისა და სპეციფიური პროფილის მქონე სახელოსნოებისა. ყველა სათავსო აღჭურვილია ელექტროგანათებით;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითად კორპუსებში არის ელ. ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ელ. ენერგიით უზრუნველყოფა ხდება ორმაგი (სარეზერვო) კვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე კორპუსის მიმწოდებელი ძირითადი ფიდერი გაითიშება, დაზიანების აღდგენამდე შესაძლებელია მისი მყისიერი გადართვა სხვა კორპუსის კვების სისტემაზე.

ყველა შენობა-ნაგებობა, გარდა დამხმარე სათავსოებისა (ავტოფარეხი, საწყობი, საყარაულე ჯიხური და სხვ.) უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით - ბუნებრივ აირზე მომუშავე ლოკალური საქვაბეებით. გათბობის სეზონზე შესაბამისი სტრუქტურები ანხორციელებენ მუდმივ კონტროლს;

უნივერსიტეტის ყველა ნაგებობა, სადაც არის ამის საჭიროება, უზრუნველყოფილია წყლის მიწოდების და წყალარინების სისტემებით, ცალ-ცალკე სველი წერტილებით ქალებისა და მამაკაცებისათვის. სანიტარიულ კვანძებში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. სანიტარიულ კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით.

სტუ-ში სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა სრულად არის დაცული. უსაფრთხოებაზე კონტროლს ანხორციელებენ შესაბამის კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები. აღნიშნულისთვის:

თვალსაჩინო ადგილას, შენობის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ახალი, თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი მისი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით და კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. ამასთან, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა. ყველა შენობა-ნაგებობას გააჩნია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელები. ყოველ კორპუსში, თვალსაჩინო ადგილას, თითოეული სართულის კიბის უჯრედთან გამოკრულია სათანადო ევაკუაციის გეგმა.

სტუ-ის ყველა კორპუსში აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარითა და პირველადი საჭიროების მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი ბუნებრივი (ფანჯრები) და ხელოვნური განათებით, ისინი ნიავდება ბუნებრივი წესით და მუდმივად მარაგდება წყლით. ამასთან, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პოლიკლინიკა, რომელიც განთავსებულია მეათე კორპუსში.

 უნივერსიტეტი შენობის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. დაწესებულებას დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი ჰყავს დაცვის თანამშრომლები, რომლებიც დროულად და ეფექტურად რეაგირებენ წესრიგის დარღვევებზე და უზრუნველყოფენ დაწესებულების მატერიალური

ფასეულობების დაცვას. წესრიგის დაცვის მიზნით, უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების შიდა და გარე პერიმეტრზე ნაწილობრივ დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები.

უნივერსიტეტის შენობის მდებარეობა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის უსაფრთხო და სწავლისათვის შესაბამის გარემოს.

სტუ ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებზე. ამისათვის იგი უზრუნველყოფს წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. ამისათვის უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათის გაწევის წესი და პირობები. მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუ¬დუ¬ლი შესაძლებლობის მქონე პირს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად.

უნივერსიტეტს, დღეის მდგომარეობით, შშმ პირებისათვის გააჩნია ნაწილობრივ ადაპტირებული გარემო. იმის გათვალისწინებით, რომ I, II, III, IV, VII და ადმინისტრაციული კორპუსები წარმოადგენენ დიდი ხნის წინ აშენებულ (ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე) ნაგებობებს შშმ პირებისთვის ჭირს თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა. ახლად გარემონტებულ შენობებში ეს საკითხი მოგვარებულია. შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მიღწევა, კორპუსებში ფუნქციონირებს ლიფტები და სპეციალური ადაპტირებული სველი წერტილები. სხვა კორპუსებში ამ საკითხების მოგვარება ეტაპობრივად 2021 წლამდეა დაგეგმილი.

აღნიშნული მიმართულებებით გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარება სტუ-ის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რისთვისაც ყოველწლიურად ბიუჯეტში გამოიყოფა შესაბამისი თანხები, იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) გაერთიანებული სხდომის 2017 წლის 30 ივნისის № 36 დადგენილება „სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით „შეღავათის გაწევის წესი“;
2. უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
3. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
4. მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
5. საგანმანათლებლო პროგრამები და მათში მითითებული გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და მისი შესაბამისობა მატერიალურ რესურსებთან;
6. პრაქტიკის/კვლევით-სამეცნიერო ობიექტთან დადებული ხელშეკრულება;
7. სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
8. ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
9. გათბობის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ექსპლუატაციის ვადა;
10. სანიტარიული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
11. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
12. საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;
13. ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, უსაფრთხოების კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
14. წესრიგის უზრუნველყოფასა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
15. დასკვნები: შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

- ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი

საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
აღწერა და შეფასება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა წარმოადგენს სტუ-ის ძირითად სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს კონსტიტუციის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ბიბლიოთეკის დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ცენტრალური ბიბლიოთეკა წარმოადგენს საუნივერსიტეტო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და ყველა კატეგორიის პროფესორ-მასწავლებელთა საბიბლიოთეკო მომსახურებას ბეჭდური და ელექტრონული ერთეულებით, როგორც სამკითხველო დარბაზში, ასევე დროებით მფლობელობაში გადაცემით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი წიგნსაცავია. ბიბლიოთეკის უნივერსალური ფონდი შედგება სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული გამოცემებისგან. მათ შორისაა ისეთი უნიკალური (რარიტეტული) გამოცემები, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ამ ბიბლიოთეკაშია დაცული და უიშვიათეს ეგზემპლარებს წარმოადგენს, კერძოდ, დაცულია XVIII, XIX და XX საუკუნეების ტექნიკური, საინჟინრო და ჰუმანიტარული სპეციალობის ქართული, ევროპული და ამერიკულიგამოცემები. ფონდში ასევე დაცულია ფრანგული, გერმანული, რუსული და ინგლისური საინჟინრო და საისტორიო ხასიათის პერიოდული გამოცემები, რომლებიც ფასდაუდებელია ტექნიკის (და არამხოლოდ) ისტორიის განვითარების უწყვეტი პროცესის წარმოსადგენად. ამავე ფონდში შეხვდებით ბროკგაუზისა, ლარუსის, გრანტის უნიკალურ ენციკლოპედიებს. ბიბლიოთეკის წიგნსაცავში დაცული ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზეა დაწერილი. მათი საერთო ოდენობა რამოდენიმემილიონ საბიბლიოთეკო ერთეულს შეადგენს, რომელთა შორის როგორც წიგნებია, ასევეა პერიოდული გამოცემა. ბიბლიოთეკის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილია წიგნებისა დაჟ ურნალების ელექტრონული ბაზა. სტუ-ის ყველა ფაკულტეტზე აგრეთვე, ფუნქციონირებს ბიბლიოთეკები, რომლებიც ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალებს წარმოადგენენ. ცენტრალური ბიბლიოთეკა კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ფაკულტეტების ბიბლიოთეკების მუშაობას, ცენტრალიზებული წესით უზრუნველყოფს მათ დაკომპლექტებას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით. ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე. ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება საინტერნეტო წვდომა „wifi“. აგრეთვე. მომხმარებელს აქვს პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე: ორშაბათი - პარასკევი 10:00 სთ. - 20:00 სთ; შაბათი 10:00 სთ. - 16:00 სთ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აბონენტს ემსახურება ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით უზრუნველყოფილი ოთხი დარბაზი: პრესისა და ინფორმაციის დარბაზი (მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო, მხატვრულ და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს.); წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ვერსიების დარბაზი (წიგნადი და საჟურნალო ფონდის ელექტრონული ვერსიების გაცნობა-გამოყენება; ინტერნეტსაიტებით სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო მასალების მოძიება; ბიბლიოთეკათაშორისო შეთანხმების საფუძველზე სხვადასხვა უმაღლესი სკოლების ელექტრონული კატალოგების გაცნობა; საერთაშორისო ონლაინმონაცემთა ბაზებით სარგებლობა ;სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვება). ტექნიკურმეცნიერებათა დარბაზი; უმანიტარულმეცნიერებათა დარბაზი.

იმისათვის, რომ მომხმარებელს გაუმარტივდეს ბიბლიოთეკით სარგებლობა, სტუ-ში შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სტუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და მის ფილიალებში გაწევრიანებისათვის აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა; წიგნადი და ელექტრონული რესურსებით სარგებლობის წესები და პირობები; დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეულის აღდგენის ღონისძიებები; ბიბლიოთეკაში ქცევის წესები და აკრძალვები.

ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისმ იღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო კვლევით საქმიანობის განხორციელებას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში რეგულარულად ტარდება ინვენტარიზაცია.

ბიბლიოთეკის წიგნადი და ფონდი და მისი დინამიკა წლების მიხედით მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში და ნაწილობრივ წარმოდგენილია გრაფიკების სახით.







ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა, ამასთან, სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review.

სტუ, აგრეთვე, მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის", რომელიც ითვალისწინებს გაწევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კონსორციმში მონაწილეობით სტუ-ის მიეცა შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier. აღსანიშნავია, რომ მომავალში დაგეგმილია ბაზების გაფართოება.

სტუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" (http://opac.gtu.ge/), რისი საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული) მოძიება. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას;

ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს (ბიბლიოთეკარი) საბიბლიოთეკო საქმეში გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, მათ შორის, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით შესაბამისი კონსულტაციის გასაწევად. აღნიშნულ მოთხოვნებს უზრუნველყოფს სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია და წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ბიბლიოთეკის პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება, დაეხმაროს ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში, მათ შორის გარე წყაროებიდან (სხვა ბიბლიოთეკები ან შესყიდვა), სამუშაო შეხვედრები და ტრენინგების ჩატარება.

პერსონალისა და სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით სტუ მუდმივად ზრუნავს რესურსებისა და სერვისების განახლებასა და გაუმჯობესებაზე. ამისათვის ყოველწლიურად ბიუჯეტში გამოიყოფა სახსრები ბიბლიოთეკის როგორც წიგნადი ფონდის გასამდიდრებლად, აგრეთვე დამატებითი ინვენტარის შესაძენად, სარემონტო სამუშაოებისთვის და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი http://gtu.ge/Library/
3. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
4. საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
5. ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
7. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024, სამოქმედო გეგემა 2018-2020 და სტუ-ის ბიუჯეტი;
8. ჩატარებული შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები;
9. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები;
10. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
11. საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში.

7.3. საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა;
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები;
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

აღწერა და შეფასება

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების მძლავრი ინფრასტრუქტურა. სტუ-ის კომპიუტერული პარკი - (პერიფერიული მოწყობილობები) (IT დეპატრამენტი) ფლობს 4508 პერსონალურ კომპიუტერს, რომელთაგან სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია 2981 კომპიუტერი (ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკებში), აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჯამში ხელმისაწვდომია 1527 კომპიუტერი და 179 ნოუთბუკი.

სტუ-ში შექმნილია ერთიანი საუნივერსიტეტო ინფორმაციული სივრცე, (ე.წ. ინტრანეტი), რომელშიც რეალიზებულია სხადასხვა ელ. სერვისები, ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რომელშიც ჩართულია 4000-ზე მეტი ქსელური კვანძი და ფარავს უნივერსიტეტის თითქმის მთელ სივრცეს (ყველა კორპუსს), სხვადასხვა ლოკაციაზე: მ. კოსტავას ქ. № 77, დ. გურამიშვილის გამზ. №17, სანდრო ეულის ქ.№1ბ, გ. ფერაძის ქ. №4 და სხვა.

ქსელში ჩართულია სტუ-ში არსებული ყველა სასწავლო კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია და სამეცნიერო ცენტრი რომელთათვის ხელმისაწვდომია ინტრანეტის და ინტერნეტის სერვისები. კომპიუტერული ტექნიკა, რომლითაც სარგებლობს აკადემიური პერსონალი, ჩართულია ყველა იმ ელ. სერვისებში რაც არსებობს სტუ-ში.

სტუ-ის ყველა კორპუსი დაკავშირებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალებით. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი BGP-ს ავტონომიური სისტემის ნომერი (AS29289), და IP მისამართები (109.205.36.0/23). უნივერსიტეტში ჩართულ ყველა ქსელურ წერტილს მიეწოდება 100 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი.

სტუ-ის მთელ პერიმეტრზე რეალიზებულია ერთიანი ცენტრალიზებული უსადენო ქსელი (Wi-Fi). უსადენო ინტერნეტ წვდომისთვის, შენობის შიდა და გარე დაფარვის ზონებისთვის გამოყენებულია უსადენო წვდომის წერტილები. ყველა უსადენო წვდომის წერტილის მართვა და მონიტორინგი ხდება ცენტრალიზებულად, შესაბამისი კონტროლერით. უსადენო ქსელის დაფარვა შეადგენს უნივერსიტეტის 90%-ზე მეტს. უნივერსიტეტის ქსელის მართვაში გამოყენებულია ქსელის მონიტორინგის სისტემები (PRTG, DUDE), რომლის საშუალებითაც ონლაინ რეჟიმში 24/7 ხორციელდება ქსელის მონიტორინგი. (ქსელის მონიტორინგის ოთახი, სტუ-ის მე-6 კ., ოთახი#306 დ).

სტუ-ის სერვერული ინფრასტრუქტურა განთავსებულია სტუ-ის ხუთ ლოკაციაზე: სტუს-მე-6 კორპუსი 306-დ ოთახი (6 სერვერი), სტუ-ის პირველი კორპუსი(კომპიუტერული ცენტრი N2 -2 სერვერი), კიბერნეტიკის ინსტიტური(1 სერვერი), მატემატიკის ინსტიტუტი (1 სერვერი) და აგრარული ფაკულტეტი (1 სერვერი). სერვერული ინფრასტრუქტურა განთავსებულია სპეციალურ სარეკრიაციო ოთახებში, რომელიც უზრუნველყოფილია გაგრილებით და უწყვეტი კვების მოწყობილობებით. სერვერული ინფრასტრუქტურაში შედის სხვადასხვა ტიპის და სიმძლავრის სერვერები, რომლებიც ასრულებენ, როგორც მთავარ, ასევე სხვა სერვერების სარეზერვო ფუნქციასაც. ინფრასტრუქტურაში შედის სახვადასხვა ტიპის სერვერები: სტორიჯ ტიპის, ბლეიდ და სტანდარტული სერვერები.

ინფრასტრუქტურაში შემავალი სერვერების დიდი ნაწილი იმართება ე.წ. ღრუბლოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით (ვირტუალიზაცია). ტექნოლოგიაში გამოყენებულია vSphere Hypervisor და Citrix XenServer -ის თავისუფალი ლიცენზია. ინფრასტრუქტურის სერვერებში ასევე გამოყენებულია UNIX, Linux და Microsoft Windows Server ოპერაციული სისტემები. ინფრასტრუქტურა დაცულია ფაირფოლით.

სტუ-ის სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა იმართება ქსელის მართვის ცენტრის მიერ. ცენტრი პასუხისმგებელია სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის სისტემურ გამართვაზე და მის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე.

სტუ-ის მაშტაბით ჩართულია DOS და DDOS შეტევებისგან თავდაცვის მექანიზმი. ქმც-ს შიდა პოლიტიკის შესაბამისად გახსნილია მხოლოდ ის პორტები და სერვისები, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებისთვის არის მიზანშეწონილი და საუნივერსიტეტო ქსელის გამართული და უსაფრთხო მუშაობისთვის არის აუცილებელი. დახურულია გარედან წვდომა კრიტიკული სერვისების სამართავ ინტერფეისებზე. გვაქვს ანტივირუსული პროგრამა - BITDEFENDER-ი. ხორციელდება ანტივირუსული საკითხების ცენტრალიზებული მართვას, სტუ-ის ქსელში არსებული ვირუსული პროგრამების ანალიზს და მათ მიგრაციას საუნივერსიტეტო ქსელიდან

სტუ-ში ახალი დანერგილია IP ტელეფონიის სერვისი. უახლოეს მომავალში იგეგმება მისი განვითარება და ფართოდ გავრცელება. ამჟამად IP ტელეფონია მოწყობილია აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის კორპუსში (გურამიშვილის N17) და სრულფასოვნად ინტეგრირებულია სტუ-ში არსებულ სატელეფონო ქსელთან.

სტუ-ის 600 აუდიტორიაში არის დამონტაჟებული ვიდეო კამერა მიკროფონით. კორპუსებში არის სასერვერო ოთახები სადაც ხდება ინფორმაციის შენახვა სერვერულ ჩამწერებზე (13 ჩამწერი) სულ 6 სასერვერო ოთახი. სისტემას ემსახურება: სასწავლო პროცესის ზედამხედველობის სისტემის მართვისა და ექსპლუატაციის ჯგუფი. გამოყენებულია სტანდარტები TIA/EIA-568-B; ANSI/TIA/EIA 606.

სტუ-ის სივრცეში ფუნქციონირებს შემდეგი ელექტრონული სერვისები:

- ელექტრონული ფოსტა - საფოსტოს სერვისით სარგებლობს უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა დიდი ნაწილი, სულ 20000-ზე მეტი მომხმარებელი. საფოსტო სერვერი განთავსებულია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაცულ სერვერზე Google-ის ღრუბლოვან სისტემაში.
- ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. შიდა საუნივერსიტეტო და ინტერნეტის ქსელში ჩართულია სტუ-ის 4000-ზე მეტი ქსელური წერტილი.
- WI-FI სტუ-ის ყველა სასწავლო კორპუსში (10 კორპუსი კოსტავას ქ. #77, 1 სასწავლო კომპუსი - გურამუშვილის გამზ. #17, სტუ-ის მათემატიკის ინსტიტუტი, ფერაძის ქ.#4.) ფუნქციონირებს Wi-Fi-ის ერთიანი, ცენტრალიზებული ქსელი. რომელიც სრულად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუმრებთათვის.
- სტუ-ის თანამშრომლებს, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ დისტანციური VPN კავშირით სტუ-ის ქსელთან, რითაც ხდება უსაფრთხო და დაშიფრული კავშირი სტუ-ისა და ტერიტორიულად დაშორებულ ადგილას მყოფ მომხმარებელს შორის.
- სტუ საშუალებას აძლევს სტუდენტსა და თანამშრომელს პირადი გამოყენებისთვის (სასწავლო და აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით) მიიღოს 200-ზე მეტი Microsoft-ის ლიცენზრებული პროგრამა და 2 წლიანი ლიცენზიის გასაღები. http://store.gtu.ge
- „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა“, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სტუდენტის ეფასების ფორმირება და სტუდენტის ინფორმირება, „ელექტრონული უწყისის“ სახით არის წარმოდგენილი (https://leqtori.gtu.ge.) და უზრუნველყოფს: სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ სტუდენტთა ინფორმირებულობას; სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის მონიტორინგს; სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობას; ანგარიშების მომზადებას სასწავლო პროცესის ანალიზისათვის; სისტემის ხელმისაწვდომობას სტუდენტების და პედაგოგების რეგისტრირების გზით; სტუდენტთა და პროფესორთა ინფორმირებულობას შეფასებათა წარმართვის კალენდარული გეგმის შესახებ.
- სტუ-ში განხორციელებულია, დანერგილია და ფუნქციონირებს „პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემა“, რომელიც განკუთვნილია პედაგოგის მიერ ჩატარებული ყოველი მეცადინეობის და ტექნიკური პერსონალის მიერ სამუშაო დროის აღრიცხვისა და ანალიზისათვის. სისტემა საშუალებას იძლევა ავტომატურად იქნას ჩამოყალიბებული ანგარიშები ყოველი სუბიექტის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. მიღებული ინფორმაცია განკუთვნილია სტუ–ს მონიტორინგის დეპარტამენტისათვის.
- სტუ–ში განხორციელებულია უნივერსიტეტის მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციულ–ანალიტიკურ სისტემას სასწავლო პროცესის მართვის ორგანიზებისათვის და უშუალოდ სასწავლო პროცესის მართვისათვის. იგი საშუალებას იძლევა სისტემური მიდგომით კომპლექსურად იქნას გადაწყვეტილი სტუ–ს წინაშე მდგარი ოპერატიული და გრძელვადიანი ამოცანები. ავტომატიზაციის სფეროში ექცევა სასწავლო პროცესთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ყველა საკითხი. ფუნქციური შესაძლებლობების თვალსაზრისით სისტემა აერთიანებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და საუნივერსიტეტო ბიზნეს–პროცესების ფუნქციებს. სისტემის სრული დანერგვის მომენტისათვის მასში ინტეგრირებული უნდა იყოს დეკანატების მართვის ლოკალური სისტემების და „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის ფუნქციები.“ სისტემის ერთ–ერთ ქვესისტემას წარმოადგენს სასწავლო ცხრილების ფორმირების ავტომატიზებული სისტემა, რომელიც, მიუხედავად უნივერსიტეტის სოლიდური მაშტაბისა, საშუალებას იძლევა ოპერატიულად–რამდენიმე საათში ჩამოყალიბოს უნივერსიტეტის სრული სასწავლო ცხრილი. ქვესისტემა უნივერსიტეტში დანერგილია 2015 წლიდან.

უნივერსიტეტის მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემის პილოტური დანერგვა დაიწყო 2017 წელს. მოცემულ მომენტში მიმდინარეობს საწარმოო დანერგვები. სისტემის სრული დანერგვის დასრულება იგეგმება 2019 წლისათვის. სისტემის დანერგვით მიღებული დადებითი შედეგებია:

- ბიზნეს-პროცესების და სასწავლო პროცესის წარმართვის საშემსრულებლო დისციპლინის მკვეთრი ამაღლება;
- ბიზნეს-პროცესების წარმართვის მაღალი კორექტულობა და საიმედოობა;
- ბიზნეს–პროცესების წარმართვის გამარტივება (მატერიალური და დროითი ეფექტურობა);
- სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროში მაღალი ეფექტურობა;
- სასწავლო პროცესი წარმართვის მაღალი საიმედოობა;

- დინამიკური (დროში ცვალებადი, ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების პირობებში) სასწავლო პროცესის დაგეგმვის და წარმართვის მაღალი ეფექტურობა (დროის და მატერიალური დანახარჯების შემცირება).

სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის, მონიტორინგისა და აღრიცხვის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სასწავლო პროცესის მართვის კომპონენტურ სააღრიცხვო სერვისებისაგან შემდგარ ერთიან პროგრამულ კომპლექსს. ფუნქციონალური სერვისების ჩამონათვალი (სტუდენტთა რეგისტრაცია და ანკეტური მოაცემები; პროფესორ-მასწავლებელთა აღრიცხვა და მათთან დაკავშირებული თანმდევი ინფორმაციით შევსება დროში ცვლილებების გათვალისწინებით; სასწავლო გეგმების ატვირთვა სათანადო სერვისებში; სტუდენტთა განაწილების ორგანიზება სასწავლო კურსების მიხედვით; სტატისტიკის წარმოება; არსებული მონაცემთა ბაზისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა) ითვალისწინებს არა მარტო აღრიცხვა მონიტორინგის კონტექსტს, არამედ მასში გათვალისწინებულია არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ანალიზისა და სისტემური განვითარების მეთოდები.

სტუ-ის დიპლომების გაცემისა და აღრიცხვის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს პროგრამული პაკეტების შემდეგ კრებულს: მკაცრი აღრიცხვის ბლანკების (დიპლომების) ბალანსზე აყვანის სათითაო აღრიცხვას მათი ჩამოწერის, ლიკვიდაციის ფუნქციურ სერვისებს, აგრეთვე გაცემული დიპლომების შევსების, ბედვის და დროში მონიტორინგის პროგრამულ პაკეტს. სისტემაში გათვალისწინებულია არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სხვადასხვა სახის სტატისტიკის წარმოება; არსებული მონაცემთა ბაზისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა) ითვალისწინებს არა მარტო აღრიცხვა მონიტორინგის კონტექსტს, არამედ მასში გათვალისწინებულია არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ანალიზისა და სისტემური განვითარების მეთოდები.

სტუ-ის ადამიანური რესურსების აღრიცხვის მართვის ავტომატიზებული სისტემა წარმოადგენს სტუ-ის არსებულ და მოწვეულ თანამშრომელთა ინფორმაციულ აღწერას (პირადი ანკეტური მონაცემები, თანამდებობრივი ბრძანებები, სამეცნიერო წოდებები და დროში არსებული მოძრაობა, გათვალისწინებულია სტატისტიკური ანალიზი და სხვადასხვა დოკუმენტების გაცემა).

სტუ-ის ბიბლიოთეკაში მკითხველთა და წიგნადი ფონდის აღრიცხვის მართვის ავტომატიზებული სისტემა იძლევა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ინვენტარიზაციის საშუალებას ელექტრონულ ფორმატში, აგრეთვე მკითხველთა რეგისტრაციისა და მათ მიერ გატანილი ლიტერატურის აღრიცხვისა და დროში მონიტორინგის შესაძლებლობას.

სტუ-ის ვაჟ სტუდენტთა აღრიცხვის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც წარმოადგენს სამხედრო-სამობილიზაციო დეპარტამენტისათვის განკუთვნილ სააღრიხვო ამოცანას, მასში გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციები: უნივერსიტეტში აღრიცხული ვაჟი სტუდენტების ინფორმაციის დროული მიწოდება საქართველოს სამხედრო კომისარიატებისათვის.

სტუ-ის სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვის მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც საშუალებითაც წარმოებს საწყობებში არსებული მატერიალური ფასეულობების შესაბამის აღწერა და მათი მიღება-გაცემის აღრიცხვა და მონიტორინგი.

სტუ-ის სტუდენტთა სწავლის საფასურის და ანაზღაურების მართვის ავტომატიზებული სისტემა უზრუნველყოფს საბანკო კლინინგ ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის ძირითად სააღრიცხვო მონაცემთა ბაზაში კონვერტირებას. სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა) ბარათების აღრიცხვას და მათ მიერ გადახდილი თანხების მათივე ბარათებზე განაწილების აღრიცხვას; საერთო სტატისტიკური ანალიზის გაკეთებას ფაკულტეტების მიხედვით; საბუღალტრო ბალანსისთვის ინფორმაციის დამუშავებასა და მიწოდებას.

სტუ-ის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის და ანაზღაურების მართვის ავტომატიზებული სისტემა უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ბარათების აღრიცხვას და სამინისტროდან გადმორიცხული მათი

სწავლების საფასურის ბარათებზე განაწილების აღრიცხვას; საერთო სტატისტიკური ანალიზის გაკეთებას ფაკულტეტების მიხედვით; საბუღალტრო ბალანსისთვის ინფორმაციის დამუშავებასა და მიწოდებას.

სტუ-ის საბუღალტრო ხარჯების აღრიცხვის მართვის ავტომატიზებული სისტემა უზრუნველყოფს სტუ-ის დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე რეალური ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელებას ფაკულტეტების და ადმინისტრაციის მიხედვით; საერთო სტატისტიკური ანალიზის გაკეთებას.

სტუ-ის თვითდაფინანსების ცენტრების თანამშრომელთა ხელფასების აღრიცხვის მართვის ავტომატიზებული სისტემა, უზრუნველყოფს სტუ-ის თვითდაფინანსების ცენტრების ბიუჯეტის ანალიზს და ამის საფუძველზე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დარიცხვას.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების ელექტრონული სისტემა რეალიზებულია LMS Moodle-ს ბაზაზე. შეფასების ელექტრონული სისტემის ადმინისტრირებაზე და ელექტრონული ფორმით საგამოცდო პროცესების ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს სტუ-ის საგამოცდო ცენტრს, რომელიც წარმოადგენს სტუ-ის სტრუქტურულ ერთეულს და მოქმედებს თავისი წესდების შესაბამისად.

სტუ-ის საგამოცდო ცენტრი საგამოცდო პროცესის წარმართვისთვის იყენებს:

- კომპიუტერულ ცენტრებს, რომლებიც ექვემდებარება სტუ-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს და პასუხისმგებელია კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობაზე;
- სტუ-ის ქსელურ ინფრასტრუქტურას, რომლის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სტუ-ის კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრი.

სისტემაში, რომელიმე სასწავლო კურსზე დარეგისტრირებულ მომხმარებელს (სტუდენტს) შეუძლია:

- ნებისმიერ პერიოდში გაიაროს ავტორიზაცია. ავტორიზებულ მომხმარებელს გამოუჩნდება მხოლოდ თავისი სასწავლო კურსები;
- საგამოცდო ცენტრში, მიმდინარე სემესტრში მის მიერ ჩაბარებული სასწავლო კურსების შედეგების ნახვა;
- საგამოცდო პერიოდში, განრიგის მიხედვით, მხოლოდ შესაბამის საგამოცდო ცენტრში განთავსებული კომპიუტერებიდან საგამოცდო დავალებების შესრულება;
- საგამოცდო პერიოდში, ცენტრის საიტზე განთავსებულ ნიმუშებზე წვდომა, კომპიუტერული ცენტრების გარე კომპიუტერებიდან;
- საგამოცდო პერიოდში, კომპიუტერული ცენტრებიდან, ცენტრის საიტზე განთავსებულ ნიმუშებზე წვდომა ტექნიკურადაა აკრძალული.

როგორც დარეგისტრირებულ მომხმარებლებს, ასევე საიტის სტუმრებსშეუძლიათ:

- შეუძლიათ დაათვლიერონ ის სასწავლო კურსები, რომლებშიც ტარდება ტესტირება;
- დაათვალიერონ სასწავლო კურსების ტესტების ნიმუშების pdf ვერსიები;
- შეუძლიათ ნახონ გამოცდების სრული განრიგის pdf ვერსიები

არასაგამოცდო პერიოდში კომპიუტერულ ცენტრებში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

ელექტრონული სწავლების პორტალზე http://elearning.gtu.ge თავმოყრილია სხვადასხვა პროგრამაში შემავალი საგნების ელექტრონული კურსები.

სტუ-ში მსხვილ კომპიუტერულ ცენტრებში და ზოგიერთ დეპარტამენტში დანერგილია დომეინური მართვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც რეგულირდება კონკრეტული ტიპის მომხმარებლების უფლებები (მაგ. სტუდენტი, პედაგოგი, ადმინისტრატორი, სტუმარი და სხვა).

სტუ-ის კომპიუტერული ქსელის ინფრასტრუქტურა ისეთნაირად არის აგებული, რომ იგი უზრუნველყოფს ქსელური სერვისების შეუფერხებლად და სტაბილურად ფუნქციონირებას, კერძოდ, ქსელის ბირთვში არის დუბლირებული მოწყობილობები, რომლებიც დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ერთმანეთის გადაზღვევას. ცენტრალური მაგისტრალების გარდა კორპუსებს შორის არის სარეზერვო ოპტიკურ-ბოჭკოვანი და უსადენო არხები. სტუ-ის კომპიუტერულ ქსელში გამოყენებულია მარშუტუზაციის პროტოკოლები, რომლებიც

ავტომატურ რეჟიმში ახდენენ სარეზერვო არხებზე გადართვას. ორგანიზებულია დამოუკიდებელი ქსელური სეგმენტები, შექმნილია ვირტუალური ლოკალური ქსელები ასევე გამოყენებულია სხვადახსხვა შეტევებისგან თავდაცვის მექანიზმები. პერიოდულად ხდება ქსელური მოწყობილებების, მონიტორინგის სისტემების და სხვადასხვა კონტროლერების ოპერაციული სისტემების და კონფიგურაციის ფაილების პერიოდული ბეკაპირება

სერვერული ინფრასტრუქტურაში გამოყენებული ტექნოლოგია(კერძოდ ღრუბლოვანი ტექნოლოგია) საშუალებას იძლევა მოხდეს სერვერების კლონირება სხვადასხვა ფიზიკურ სერვერზე და შენახულ იქნას მისი ასლები. სერვერის ფიზიკური ან პროგრამული მტყუნების ან ჰაკერული თავდასხმის შემთხვევაში ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა გაეშვას სარეზერვო სერვერი. კრიტიკულ სერვისებზე ხორციელდება სარეზერვოს ასლების, ზოგ შემთხვევაში დღეში რამოდენიმეჯერ მონაცემთა ბაზების და/ან სხვა მონაცემების არქივირება და საჭიროების შემთხვევაში მისი აღგენა.

სერვერული ინფრასტრუქტურა დაცულია მუდმივი კვების ელემენტებით რაც საშუალებას იძლევა 2 საათამდე შენარჩუნდეს სერვერების მუშაობა.

სტუ-ის კომპიუტერული ქსელის ინფრასტრუქტურა ისეთნაირად არის აგებული, რომ იგი უზრუნველყოფს ქსელური სერვისების შეუფერხებლად და სტაბილურად ფუნქციონირებას. სარეზერვო არხები გამოყენებულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერთან კავშირისას, კერძოდ სერვისის მოწოდება ხდება ორი დამოუკიდებელი ოპტიკურ ბოჭკოვანი არხით. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი ავტონომიური სისტემის ნომერი ინტერნეტში(AS29289), https://apps.db.ripe.net/db-web-ui/#/lookup?source=ripe&key=AS29289&type=aut-num და პროვაიდერის ცვლა არ იწვევს სერვისების შეფერხებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ფუნქციონირებს 2000 წლიდან და ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. ფუნქციას, მასზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, სტუ-ის მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და ამ პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, წლიური ანგარიშები, ფინანსური ანგარიშგებები, მიმდინარე და განხორციელებული კვლევები, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, ხელმისაწვდომი სერვისები, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა;
2. კომპიუტერებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
3. ინტერნეტ-პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. კორპორატიული ელ. ფოსტის სერვისი gmail.com (*@gtu.edu.ge)
5. სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;
6. ელექტრონული ტესტირების სისტემა moodle.gtu.ge
7. ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების ადმინისტრირების; პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების წესი;
8. დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
9. http://gtu.ge
10. mail.gtu.ge
11. http://gtu.ge/Contact
12. http://gtu.ge/AboutStu/structure/stu-structure.php
    http://gtu.ge/AboutStu/structure/stu-administration.php
13. www.gtu.ge - ფაკულტეტები;

14. http://publishhouse.gtu.ge , http://gtu.edu.ge/library

7.4. ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია;
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას;
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე;
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება;
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

აღწერა და შეფასება

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტი შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს „საბიუჯეტო კოდექსის“, ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს #672 ბრძანებისა და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების და ასევე უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებული „სტუ-ის ბიუჯეტის შედგენის წესის“ შესაბამისად.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენისას გაითვალისწინება უნივერსიტეტის მისია, ასევე, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილი პრიორიტეტების დაფინანსება, ხოლო მისი მომზადება, წარდგენა და დამტკიცება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისადა უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოები განსაზღვრავენ საკუთარ შემოსულობებსა და ხარჯებს და ადგენენ ბიუჯეტის პროექტს, მათ შორის კალენდარული წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილებათა პროექტს, საიდანაც ნათლად უნდა ჩანდეს, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და რომლებიც რისკების მართვას უზრუნველყოფს ადეკვატურად და ეფექტურად. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების პროექტები (მათ შორის ცვლილებათა პროექტები) ერთიან ბიუჯეტში ასახვის მიზნით, წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს 11 დეკემბრისა.
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის პროექტის შედგენას, უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს უნივერისტეტის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტის პროექტსა და უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის პროექტს (საიდანაც უნდა ჩანდეს, რომ ფინანსური რესურსი ადეკვატური და საკმარისია, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები მაქსიმალურად შესრულებადია) და საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ასევე უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და სენატს.
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და სენატი უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის პროექტს განიხილავს გაერთიანებულ სხდომაზე და ამტკიცებს სიითი შემადგენლობის ხმათა უბრალო უმრავლესობით.

უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტების პროექტები, განმარტებით ბარათებთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რაშიც ნათლად უნდა აისახოს ხარჯვითი ნაწილის საფუძვლები, მიზნობრიობა და მათი შესაბამისობა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან (ღონისძიებათა მიხედვით) მიმართებაში, წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და სენატს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ფორმითა და დადგენილი პროცედურით.

უნივერსიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის,

უნივერსიტეტის წესდებისა და „სტუ-ის ბიუჯეტის შედგენის წესის“ შესაბამისად. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია უნივერსიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში, კალენდარული წლის განმავლობაში, მუხლობრივი ცვლილება განახორციელოს საკუთარი ქვოტის ფარგლებში (განკარგულებით), რაც არ უნდა აღემატებოდეს ნაერთი ბიუჯეტის ასიგნებათა 7%-ს. საბიუჯეტო პროცესის მართვა წარიმართება მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და სენატის მიერ დამტკიცებული ამ წესის შესაბამისად.

დღისათვის სენატის მიერ დამტკიცებულია სტუ-ში შემუშავებული მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენება უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად. აღნიშნული სისტემა ამოქმედდება მიმდინარე წლის ნოემბრის თვიდან.

უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

- სწავლის საფასური;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება;
- სამეცნიერო კვლევითი გრანტები;
- კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.



ბიუჯეტის ფინანსური რესურსების ხრჯვითი ნაწილი ორიენტირებულია უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე, ხოლო უნივერსიტეტის საერთო შემოსულობებიდან სავალდებულო წესით ფინანსდება უნივერსიტეტის მიზნობრივი ფუნქციონირებისათვის საჭირო, სამოქმედო ეგმებით განსაზღვრული, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკატორით გათვალისწინებული შესაბამისი ხარჯები.



ყოველწლიურად სტუ ადგენს ექვსთვიან და წლიურ ფინანსურ ანგარიშებს, რაც წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ასევე აღნიშნული ანგარიშები ექვემდებარება უნივერსიტეტის შიდა აუდიტისა და დამოუკიდებელი აუდიტის შემოწმებას, რომლის შედეგად შედგენილი დასკვნები და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები განიხილება აკადემიურ საბჭოზე და ხელმისწავდომია სტუ-ის ვებ-გვერდზე ყველა დაინტერესებული პირისთვის.

სტუ-ის ფინანსების დინამიკა დეტალურადაა მოცემულია თანდართული დოკუმენტების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დაფინანსების წყაროები;
2. უსდ-ს ბიუჯეტი;
3. დაგეგმილი ფინანსების დინამიკა წლების მიხედვით;
4. უსდ-ის ბიუჯეტი, დაფინანსების დინამიკა, მიმდინარე ან/და წინასაანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშები, ადმინისტრაციული ხარჯების წილი საერთო ბიუჯეტში;
5. დაფინანსების დინამიკა;
6. კვლევების განხორციელებასა და ბიბლიოთეკის ფუნქციოირება-განვითარებაზე გაწეული და დაგეგმილი ხარჯები;
7. პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებებისა და ანგარიშვალდებულების წესი და ფორმა;
8. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი;
9. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი;
10. უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შედგენილი დასკვნები და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

გთხოვთ, წარმოადგინოთ უსდ-ს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მოცემული სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად

ძლიერი მხარეები ➢ სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კაბინეტები, სპორტდარბაზები სრულად აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, როგორიცაა მერხები, მაგიდები, დაფები, ლაბორატორიული და სხვა ხელსაწყო-დანადგარები, ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვ.; ➢ სტუ-ის ბიბლიოთეკა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი წიგნსაცავია. ბიბლიოთეკის უნივერსალური ფონდი შედგება სასწავლო, სამეცნიერო და მხატვრული გამოცემებისგან. მათ შორისაა უნიკალური (რარიტეტული) გამოცემები; ➢ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review; სტუ იყენებს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier; ➢ ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" ; ➢ IT სფეროს მაღალკვალიფიციური აკადემიური და ტექნიკური პერსონალი, რომელთაც ძალუძთ ახალი სისტემების, სერვისების პროექტირება და განხორციელება, არსებულის მოდერნიზება; ➢ ძლიერი საკუთარი IT ინფრასტრუქტურა; ➢ ელექტრონული სერვისები; ➢ უნივერსიტეტის მართვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემა; ➢ კომპიუტერული ცენტრები; ➢ სტუ-ს ვებ-გვერდი;
